

# საქართველოს ქალი

იანვარი
№ 1 1978 წ.

25
ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ

როს თქვენი სიცოცხლე
მდინარედ გვედება,
გვაშენებს,
გვამაღლებს,
გვიკაფავს გზას!
ძვირფასო დებო და
ძვირფასო დედებო! —
ახალი წელია!
ჩამოვკრათ ზარს!
ახალი წელია
სიუხვის,
დოვლათის!
ახალი ფურცელი
იმედებს — მძლეს.
კვლავ მეტი ხორბალი!
კვლავ მეტი ფოლადი!
ჩაი და ყურძენი! —
სამშობლოს — მზეს!
ახალი წელია!
გვემრავლოს!
გვემატოს!
ახალი წელია!
გვიყვარს და გვწამს.
ფრთები მომავლისა
სიმაღლეებ შევმართოთ,
და ხმა, სიმართლისა
ვაწვდინოთ ცას!
ახალი წელია!
დე ერთად ვეახლოთ
შენებას,
მშვენებას,
ყოველთა მძლეს,
ძვირფასო დებო და
ძვირფასო დედებო!
გილოცავთ სიახლის
ბედნიერ წელს!

ნაზი კილასონია

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический
и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии.

645
1978
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## ამხ. ე. ა. შევარდნაძის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1978 წლის 24 იანვარი.

ZU 86Z
188

# ახალი წელი

ბევრი სიკეთე მოგვიტანა მან — მეათე ხუთწლედის მეორე წელმა: აშენა და ამშვენა ჩვენი სოფლები და ქალაქები, დათესა და მოიმკო, მოიყვანა და შეინახა, მოიპოვა და გამოაწრთო, დაართა და მოქსოვა... გვირგვინი დაადგა ისტორიულ მონაპოვართა დიდებულ მე-60 წელს, მან მისცა ჩვენს ხალხს ცხოვრების ახალი წესი, ახალი კანონმდებლობა.

ჯერ კიდევ სანოემბროდ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებმა აითვისეს და დაიწყეს 56 ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება. სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის რაოდენობამ 620-ს მიაღწია, ხოლო გეგმის გადამეტებით გამოშვებულმა მთლიანმა პროდუქციამ — 166 მილიონ მანეთს, ეს კი 6 მილიონი მანეთით აღემატება წლიური სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებულს.

1977 წელმა დაამთავრა ასეული წლებით ნაოცნებარი — სვანეთის დიდებული გზის მშენებლობა; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობის აღდგენა; გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრის შენება; ახალი გზა, ახალი სიცოცხლე მისცა ენგურს...

თავი ისახელეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. განსაკუთრებით მეჩაიეებმა. მათ ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 400

მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ათასი ტონა ჩაის ფოთლისა, 410 ათასი ტონა მოკრიფეს და ჩააბარეს სახელმწიფოს, რისთვისაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მადლობა დაიმსახურეს.

წარმატებები და ჯილდოები ხვდათ წილად ველ-მინდვრების, ბაღ-ვენახების და პლანტაციების ოქროხელა ოსტატებს, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკებს.

სასიხარულო ფაქტები იყო: კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის ოპერის „მთვარის მოტაცების“ დადგმა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე; ოპერა „ლელას“ ავტორის, კომპოზიტორ რ. ლაღიძისათვის სახელმწიფო პრემიის მინიჭება; „თუში მეცხვარისა“, „ნატვრის ხის“ და სხვა კინოფილმების მიერ მოპოვებული ჯილდოები საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე; ქართველ მეცნიერთა, ხელოვანთა, სპორტის ოსტატთა წარმატებები...

ისტორიამ მიითვალა 1977 — უდიდესი პოლიტიკური მოვლენებით აღსავსე წელი. ეს მოვლენებია ახალი კონსტიტუციის საერთო სახალხო განხილვა და დამტკიცება; დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის საიუბილეო ზეიმები... ეს იყო არა მარტო საზეიმო აღნიშვნა დიადი ისტორიული თარიღისა, არამედ, დიდი, სერიოზული საუბარი — ჩვენს მიერ შრომითა და ბრძოლით განვლილი 60 წლოვანი გზის თვალის გადავლება, მონაპოვარის შეჯამება და ფიქრი მომავლის პერსპექტივებზე.

იყო ამ 60-წლოვან გზაზე სიძნელეებიც, შეფერხებებიც, მაგრამ გმირული შემართებით, ყოვლის დამთრგუნავი რომანტიკული გატაცებით ვძლევდით ყოველ მძიმე გადასასვლელს.

და ამ აღმასვლის ურთულეს პროცესებს შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა და ადევნებს თვალს მთელი მსოფლიო: ერთნი სიმპათიით და აღტაცებით, მეორენი — შურით და ღვარძლით, ძირგამომთხრელი საქმიანობით, დივერსიებით, ცივი ომებით...

და განა მარტო ცივი ომებით! — 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს დაცვას, — გერმანული ფაშიზმის მიერ თავსმოხვეულ მეორე მსოფლიო ომს და უზარმაზარი სულიერი, ფიზიკური და მატერიალური სახსრები — ცხოვრების დანგრეული რიტმის განახლებას, განადგურებული სოფლებისა და ქალაქების აღდგენას.

რას წარმოიდგენდნენ ტოტალური ომის გამჩაღებლები, რომ მათს მიერ დასახულ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განადგურებისა და მსოფლიოს ახლებური გადანაწილების კაცთმოძულეობრივ გეგმას მოჰყვებოდა დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგი — მსოფლიოს გეოგრაფიული რუკის სულ სხვა სახეცვლა, სოციალისტური სამყაროს საზღვრების გაფართოება.

შეუნელებელი ენერგიით მიმდინარეობს დღესაც ეს პროცესი ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტზე — თვით იმპერიალისტური გარემოცვის შუაგულშიც.

და თუ მიუხედავად კაპიტალისტური სამყაროს გააფთრებისა მსოფლიო ერთგვარ წონასწორობას ინარჩუნებს, თუ ვერავინ შესძლო თავს მოახვიოს კაცობრიობას ახალი, გამანადგურებელი მსოფლიო ომები, ამაში საბჭოთა ლენინურ დიპლომატიას მცირე წვლილი როდი მიუძღვის — დიპლომატიას, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყოველ ეტაპზე, დაწყებული ლენინური სამშვიდობო დეკრეტიდან — დღემდე, თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია. ლენინური საბჭოთა დიპლომატიის შორსმჭვრეტელობით, მსოფლიო მოვლენების სწორი აღქმისა და ანალიზის საფუძველზე ავითარებენ დღეს ამ პოლიტიკას საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურები და კერძოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ჩვენი ქვეყნის 1977 წლის როგორც საგარეო, ისე საშინაო ცხოვრების გეგმაც ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისა და სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით აიგო და წარიმართა.

1977 წელი. ჩვენი რესპუბლიკა. სისხლსავსე ცხოვრების შეუნელებელი რიტმი:

სახალხო მეურნეობის დარგში 1976 წელს მიღწეული წარმატებებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადმოცემა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი.

საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის სიმპოზიუმები, კონფერენციები, ყრილობები, შეკრებები...

აფხაზეთის ასსრ, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დღეები ჩვენს დედაქალაქში.

ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი, ხალხური შემოქმედებისა და სახელმწიფო თეატრების სპექტაკლების რესპუბლიკური დათვალიერებები...

და იმავე დროს შეუნელებელი ბრძოლა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი სრულყოფისათვის, მორალური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

და ყველა ამ დიდ თუ მცირე საქმიანობაში, ყოველთვის და ყველგან იგრძნობოდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წარმმართველი ხელი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა, ნათქვამია: „ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ სწრაფი წინსვლისათვის, იმისათვის რომ ქვეყანა მძლავრი და მდიდარი გახდეს, ჩვენ გვაქვს მასალა ბუნებრივი სიმდიდრისაც, ადამიანურ ძალთა მარაგისაც, საუცხოო გაქანებისაც, რომელიც ხალხის შემოქმედებას მისცა დიდმა რევოლუციამ“. დღეს ამას დაემატა უზარმაზარი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ძლიერება, აგრეთვე ახალი ცხოვრების მშენებლობის მდიდარი გამოცდილება. ჩვენ მართლაც ყველაფერი გვაქვს საიმისოდ, რომ მტკიცედ ვიაროთ სანუკვარი მიზნისაკენ, კომუნიზმისაკენ, დავიპყროთ პროგრესის ახალ-ახალი მწვერვალები“.

.. და აი, ჯერაც არ ჩამცხრალიყო 60 წლოვანი იუბილარისადმი მიძღვნილი ზეიმის ხმები, ის-ის იყო გავაცილეთ ამაგდარი 1977, რომ ჩვენს ცხოვრებაში 1978-მა შემოაბიჯა.

ფეხბედნიერი იყავ ახალო წელო!

შენ გაბარებთ ჩვენს ოცნებებსა და იმედებს.

რამდენი რამ გვაქვს ერთად საშენებელ-საკეთებელი: გზები და ელსადგურები, ქარხნები და კომბინატები, სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, კულტურისა თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები და ბინები, ბინები...

რამდენი ზრუნვა მოგვიწევს ადამიანთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მცირე მოვალეობას როდი გვაკისრებს ამ მხრივ პრესის მუშაკებს და მათ შორის ქალთა ჟურნალებსაც ჩვენი ხალხი, საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია!

შენ აგვიხდინე ყველა კეთილი ჩანაფიქრი!...

მიგვაღწევინე სანატრელს!

გვაშენებინე და გაგვიმარჯვე!

გვიათკეცე ხვავი და ბარაქა, სახელი და ღირსება!

გვამტკიცე მშვიდობა, გვიმრავლე მეგობრები...

მიეც თავისუფლებისათვის, ბედნიერებისათვის, პროგრესისათთქვენი გამარჯვებების, თქვენი ბედნიერი დედობისა და ბედნიერება!

თქვენ კი, ჩვენი ჟურნალის მკითხველებო, ჩვენო ძვირფასო ქალებო, რა გისურვოთ ამ ახალ წელს?

დაე, ჩემს ფურცლებზე ემრავლოს თქვენს საამაყო სახელებს. მისი ყოველი გვერდი, ყოველი სტრიქონი იყოს თქვენი ზრდის, თქვენი გამარჯვებების, თქვენი ბედნიერი დედობისა და ბედნიერი ქალობის მაუწყებელი.

მრავალ ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ თქვენი მეგობარი „საქართველოს ქალი“.

მარიკა ბარათაშვილი




ენგურჰესის მშენებლობაზე. დაიწყო ჯვრის წყალსაცავის ავსება.

გ. კიკვაძის და გ. გერსამიას ფოტო

„საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავენ საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობას. სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს და ხელს უწყობს იმას, რომ შრომა უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაექცეს ყოველ საბჭოთა ადამიანს“.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან



## საწარმოში ერთი ოჯახის სამი თაობაა

# ქუთათურები

**რეპორტაჟი**

ყოველ დილით ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში სამუშაოდ მიდიან გრიგოლ და გოგუცა ჯიმშელეიშვილები თავიანთი შვილებითა და შვილიშვილებით. ისინი თერთმეტნი არიან — ერთი ოჯახის სამი თაობის წარმომადგენლები.

ჯიმშელეიშვილები ქართულ აბრეშუმს 1933 წლიდან ქსოვენ. მათ აქვთ საშუალოდ, საშუალო ტექნიკური და უმაღლესი განათლება. ერთად აღებულს თუ ვიანგარიშებთ, მათი შრომითი სტაჟი 270 წელს შეადგენს. ამ სამმა თაობამ ათასობით მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს. მათ შორის არიან რაციონალიზატორები და ნოვატორები. ერთი მათგანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო. მიღებული აქვთ მთავრობის ჯილდოები, ორდენები, მედლები და სიგელები. ოჯახის ხუთი წევრი კომუნისტია. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ოჯახს შვილიშვილების სახით ნიჭიერი თაობა ეზრდება..

ჯიმშელეიშვილები მდიდარი შრომითი ბიოგრაფიით სამართლიანად იმსახურებენ საზოგადოების პატივისცემას.

ოჯახის თავკაცი გრიგოლი მესამე საქსოვი საამქროს ოსტატია. მას ოთხასამდე საქსოვი მანქანის მოვლა და „მკურნალობა“ ევალება.

—მე რომ აბრეშუმის საქსოვში მუშაობა დავიწყე, მაშინ ქუთაისში სულ ოთხი ავტობუსი იყო. სახლიდან უფრო ხშირად უთენია გამოვდიოდი ფეხით. მუშაობაც ძალიან გვიჭირდა, რადგან ის-ის იყო დაზგადანადგარებს ვითვისებდით და ქსოვის საქმეს ვეჩვეოდით. მქსოველადაც მიმუშავნია. სწორედ იმ წლებში გაერთიანდა აბრეშუმის ძაფსალები და საქსოვი საწარმოები კომბინატად, ამუშავდა საკონსერვო, მინის ტარის, ლითოფონის ქარხნები, სამკერვალო ფაბრიკა, რიონჰესი.

პირადად რა სიახლე ვიგრძენი? — ეღიმება მრავალჭირნახულ კაცს, — დავოჯახდი, ბრიგადა ჩამაბარეს, პირველად ჩავჯექი თვითმფრინავში. ახლაც ვიგონებთ მე და გოგუცა, რა კარგი მსახიობები გვყავდა მაშინ ქუთაისის თეატრში — ა. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ა. მურუსიძე და სხვები, რა კარგ სპექტაკლებს ვნახულობდით — „ლადო კეცხოველს“, „კოლმეურნის ქორწინებას“, „გუშინდელნს“. ახალგაზრდები ვიყავით და ყველაფერი გვიხაროდა. მერე შვილები შეგვეძინა...

ბევრი კარგი და თბილი სიტყვა თქვა საწარმოს ხელმძღვანელობამ გრიგოლისა და გოგუცას შვილების შესახებ. კომბინატის გულისხმიერმა კოლექტივმა შეიყვარა და თავის საუკეთესო შრომითს ტრადიციებს აზიარა მშობლების კვალზე საწარმოში მოსული ამირანი, ეთერი, სულხანი, ნუნუ, ნანული და ცისანა. კეთილგანწყობილებისა და მეგობრულ ატმოსფეროში თანდათან გაიფურჩქნა ოჯახიდან მოყოლილი მათი საუკეთესო თვისებები: უბრალოება და თავმდაბლობა, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, პასუხისმგებლობის გრძნობა და ადამიანებისადმი სიყვარული:

შრომაში იწრთობოდა და თანდათან ყალიბდებოდა მათი ხასიათი, გზა ეხსნებოდა ახალ მისწრაფებებს.

ეთერი, ნუნუ და სულხანი სკკპ რიგებში მიიღეს. ახალგაზრდებმა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლაც დაიწყეს, სულხანი თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოეწყო, ნუნუ — პედაგოგიურ ინსტიტუტში, ეთერი და ნანული საფეიქრო ტექნიკუმში. შემდეგ სულხანი ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნეს. ნუნუ დაოჯახდა და მცირეწლოვანი ბავშვების გამო დროებით ჩამოშორდა სამუშაოს.

მშობლებთან ერთად საწარმოს დაძაბულ, შემოქმედებითს ცხოვრებას დღესაც იზიარებენ ამირანი, ეთერი, ნანული და ცისანა, მათ შემოემატათ რძალი ნინო ჯიმშელეიშვილი, სიძეები ანდრო კახიანი და ინდიკო მონიავა. ბებიისა და ბაბუის კვალს გაჰყვა მათი შვილიშვილი თამრიკო კახიანი. მთელ მათს საქმიანობას ამშვენებს ოჯახის მამიდა, გრიგოლის და, სახელოვანი ფეიქარი ელენე ჯიმშელეიშვილი.

გვინდოდა გვენახა იგი—40-იანი, 50-იანი წლების ქუთაისის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენელი ელენე ჯიმშელეიშვილი. მაგრამ ქუთაისში არ იმყოფებოდა, ამიტომ გაზეთის სტატიით დავკმაყოფილდით:

„... ელენე რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ელენე ახლაც ახალგაზრდული ენერგიით გამოირჩევა. იგი უბნის უფროსია, ამასთან თავის მდიდარ გამოცდილებას სისტემატურად უზიარებს ახალგაზრდა ფეიქრებს“.

ვრცელ, ნათელ საამქროში, ახალ, გაკრიალებულ საქსოვ მანქანასთან ვეძებთ დიდი ოჯახის შრომისმოყვარე ადამიანებს. რამდენი სიხარული და წარმატება მოუტანა ჯიმშელეიშვილებს ამ მოგუგუნე მანქანებთან ალალმა შრომამ.

აი ერთ-ერთი მათგანი, უფროსი ქალიშვილი ეთერ კახიანი. ახლა იგი ცვლის უფროსია და პირველობას არავის უთმობს. ხუმრობა როდია, უხელმძღვანელო ასზე მეტ ადამიანს და ისე უზრუნველყო მათი შეუფერხებელი მუშაობა, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში მუდამ გამარჯვებულის ბედი გწყალობდეს.

ვერ ვნახეთ მისი მეუღლე ანდრო კახიანი, რომელიც მივლინებაში იმყოფებოდა. ჩვენს კითხვაზე, თუ რას ანიჭებს უპირატესობას მუშაობაში, ეთერმა გვიპასუხა:

— განწყობილებას, შრომის სურვილს, რომელიც ყველას როდი აქვს. განსაკუთრებით — ცვლაში ახლადშემომატებულს.

ცვლამ თავისი მშობლიური ზრუნვა შეახვედრა ბევრ ახალმოსულს. იქნებ იმიტომ, რომ მას ქალი ხელმძღვანელობს. მაგრამ განა ყველა ქალს შეუძლია თავისი გარემო ადამიანთა კეთილგანწყობილებისა და ჰარმონიულობის ატმოსფეროდ აქციოს?

ეთერმა ეს შეძლო და წარმატებასაც ამიტომ მიაღწია.

ნელ-ნელა ვუახლოვდებით საქსელავ მანქანას, საიდანაც სანდომიანი ქალი გვიღიმის. ეს ნინოა, ჯიმშელეიშვილების რძალი.

მოხიბლული ვუცქერით მის გაწაფულ ხელებს.

ნისლივით მოედინება თეთრი, გამჭვირვალე ძაფები. მათ შორის რომელიღაც ვერ უძლებს დაჭიმვას და თრთის, უჭირს სავარცხლამდე მიღწევა. ნინოს მგრძნობიარე

თითები დროულად პოულობს მას და შეელის, ასეულობით ძაფი თანაბრად ეხვევა ქსელის ღერძებს.

— მე რა მევალება ქსოვისათვის? — იმეორებს ჩვენს შეკითხვას ნინოს მეუღლე ამირანი და საქსოვი მანქანებისაკენ მიგვიძღვის, — ამ მანქანების შეკეთება. ხედავთ, ღერძიდან ამოხვეული ქსელის ძაფები როგორ გამოივლის ფარს, ქსელმეთვალყურე მექანიზმის ფირფიტებს, დგიმის თვალს, გამოაღწევს სავარცხლის კბილებს და აქ უკვე დგიმთამწევი კარეტის „ბრძანებით“ რიგრიგობით ზოგი ზევით იწევს, ზოგი ქვევით. მათ შორის წარმოქმნილ ხახაში მაქოს გააქვს და გამოაქვს მისაქსელის ძაფი, რომელიც ლაფათის დარტყმით ებჯინება ქსელის ძაფს და იქმნება ქსოვილი. თუ ეს ჰარმონია დაირღვა და მანქანას თავისი ქარგალი ვეღარ შეელის, მაშინ ჩვენ, შემკეთებლებმა უნდა მივხედოთ. ისე, გეგმა ჩვენც გვაქვს და ვაჭარბებთ ხოლმე მას.

საქსოვი მანქანების რიტმულ გუგუნში ქსოვილის ღერძზე მატულობს ქათქათა აბრეშუმი. ცვლის დამთავრებამდე ერთი საათით ადრე ნანული ჯიმშელეიშვილმა დღიური ნორმა შეასრულა და ახლა ზეგეგმით ქსოვილს ქსოვს მისი მანქანები...

— იმიტომ არ მიჩერდება მანქანები, რომ არ ვაცლი გაჩერებას, — ხუმრობს მომღიმარი ქალი, — წუთი რაა, ისიც რომ შევისვენო, მაშინვე „თანამიგრძნობს“ ათივე მანქანა და ისინიც სულს მოითქვამენ. მერე ბრიგადირს რა გადაურჩება! ოჯახში, იცოცხლე, მეხმარება, მაგრამ აქ მუშაობას სხვებზე მეტად ჩემგან მოითხოვს.

ნანული გვანიშნებს მოშორებით დაზგასთან მდგომ ვაჟკაცზე, ინდიკო მონიავაზე და სახეზე ბედნიერი ღიმილი ეხატება. იგი ნანულის ცხოვრების თანამგზავრი, სამი შვილის მამა და ბრიგადირია. ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი აქვს მინიჭებული, ნანული კი პირველობს ბრიგადაში, ესეც ხომ ჭეშმარიტი მეგობრობის დასტურია. ინდიკო მონიავას ბრიგადა გეგმით გათვალისწინებულ 23 ათასი მეტრის ნაცვლად 25 ათას მეტრ აბრეშუმის ხამ ქსოვილს ქსოვს. კიდევ მეტი: სიძე-სიმამრმა თანაავტორობით საქსოვ მანქანაზე ახალი შემხვედრი მექანიზმი შექმნეს, რომლის დანერგვით 1539 მანეთი დაეზოგა წარმოებას.

...საამქროს სიღრმეში, საქსოვ მანქანებთან ჯიმშელეიშვილების მესამე თაობის წარმომადგენელი ეთერის ერთადერთი ქალიშვილი თამარ კახიანი ფუსფუსებს.

გირჩევიათ კი ოდესმე თქვენი შვილისათვის მქსოველობა? ეს პროფესია ხომ ყველა დროში თავისი იდუმალი ხელოვნებით ამშვენებდა ადამიანებს. ქსოვდნენ ჩვენი წინაპრები, განსაკუთრებით აბრეშუმს, რომელსაც ჯერ კიდევ არგონავტების დროიდან მოიხსენიებენ, ხოლო მეხუთე საუკუნეში „შუშანიკის ნაცვლად ჰიჰანუხტის საქმისა... ხელთ აღიხუნა დავითნი“. „ჰიჰანუხტის საქმე“ ანუ აბრეშუმის ქსოვა, როგორც მას განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი, ქართველობას მრავალსაუკუნოვან ქარტეხილებში გამოუტარებია და შთამომავლობისათვის შემოუნახავს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი ქართულ მიწა-წყალზე ამ უძველესი კულტურული დარგის აღორძინება.

კმაყოფილების გრძნობით ვეცნობი ქართული აბრეშუმის წარმოების ვეტერანების შვილიშვილს, რომელიც წარმატებით აგრძელებს ოჯახის ტრადიციას.

— მომავალშიც თუ ვიმუშავებ? თამრიკომ ძლივს მოიცალა პასუხისათვის, ცხადია, ვიმუშავებ, უფრო კარგი მაჩვენებლებიც მექნება. მუშაობასთან ერთად უმაღლესში სწავლაც უნდა შევძლო.

— მართალია, თამრიკო ჯერ ცხრამეტი წლისაა, მაგრამ მისი სიტყვა საიმედოა, — მითხრა საამქროს უფროსმა,—ჯერ ერთი ის, რომ იგი ეწევა უკვე მოწინავე მქსოველებს, მეორე ის, რომ ვერ ურიგდება მოდუნებულობასა და უპასუხისმგებლობას, ჩვენი ავკარგის ნამდვილი გულშემატკივარია. ასეთ ახალგაზრდას ყოველნაირად შევუწყობთ ხელს სწავლისთვისაც.

ხალხს უთქვამს, „ვისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ჰგონიაო“. იქნებ სხვაგვარად წარმართულიყო გრიგოლ ჯიმშელეიშვილის ოჯახის ბედი, რომ იმდენ თვალებციმციმა გოგონებში გოგუცა არ აერჩია თავისი ცხოვრების მეგობრად. გოგუცამ მის მხარდამხარ ვაჟკაცურად ზიდა დიდი ოჯახის უღლის სიმძიმე და შვილებსაც ასწავლა უანგარობა, ალალი შრომა, ხალხის სამსახური.

მარიკა სილაგაძე



ფეიქართა ოჯახი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## ახალი წლის მოჭქრის რაში

სულსწრაფი დრო აღარ იცდის
და ჩვენც ვიცით დროის ფასი —
ძველი წლის და ახალი წლის
გასაყართან შევსვათ თასი.
ოქტომბრის და გამარჯვების
მესამოცე წელიწადი,
უკვდავების მიდის გზებით,
აგვამაღლა უფრო ცამდი.
მიდის, უქრობ შუქად სტოვებს
ჩვენი ქვეყნის ახალ კანონს —
ოქროდასხმულ სხივთა რტოებს,
თავთავდაყრილ სიბრძნის ყანობს.
მას ბულბულიც ეჯდა გულში,
სიყვარულის ჰქონდა რთველი...
და შემოდის ჩვენს მამულში
ახალი წლის შუქნათელი.
— მაშ კეთილი იყოს შენი
მობრძანება!
გულით გლოცავ!
ახალ შუქით დამიმშვენე
ოჯახიც და სამშობლოცა!
ხნული უხვად ამიმწვანე,
დამიპურე სიტყვის ყანა,
გამილაღე, გამიხარე
ყველა მზია, ყველა ნანა!
სიყვარულში გამიზარდე
ჩემი ქვეყნის ყველა ბავშვი,
გაგვიმრავლე ბაღში ვარდი,
მოგვახმარე მშვიდობაში!
მზის მხურვალე ხელი მახლე,
გულში სხივად ჩასართველო,
კიდევ უფრო აღვიმაღლე
ჩვენი დედა საქართველო!
ქვეყნის გზებზე მივდიოდე,
წინ მიძღოდეს ნათლის სვეტი,
კიდევ უფრო გვიდიადე
ჩვენი დიდი საბჭოეთი!
ამომხადე თუგინდ სული
მშობელ ხალხზე სიმღერაში...
სიყვარულით ფრთაშესხმული
ახალი წლის მოჭქრის რაში!



# გამარჯვება დამვაბადას

ჭეშმარიტად საახალწლო ნობათი გაუმზადეს მშობლიურ ხალხს მაია ჩიბურდანიძემ, ნანა ალექსანდრიამ და ნანა იოსელიანმა, როცა დეკემბრის მიწურულს, ლვოვში, სსრ კავშირის ქალთა 87-ე ჩემპიონატის სამივე მედალი დაისაკუთრეს. ეს იყო მზიანი გამარჯვება, რომლის მსგავსი არ ახსოვს საბჭოთა ჭადრაკის ჟამთაღმწერელთ.

ლვოვის სარბიელზე ერთმანეთს 18 დიდოსტატი და ოსტატი ეცილებოდა. მათ შორის არ იყო მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ამ დროს ვაჟებს ეპაექრებოდა ლაიფციგის საერთაშორისო ტურნირში. ყველა ოცნებობდა გამხდარიყო ჩემპიონი, ვერცხლის ან ბრინჯაოს მედალოსანი მაინც. მაგრამ ჭადრაკის ქალღმერთმა კაისამ თავისი წყალობა ქართველ ასულებს დააბერტყა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მაია ჩიბურდანიძეს ხვდა, ნანა ალექსანდრიამ და ნანა იოსელიანმა მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ. ეს შთამბეჭდავი წარმატება ყველამ მიიღო როგორც ქართველ მოჭადრაკე ქალთა ნიჭის აფეთქება, ტრიუმფი, აღიარება...

ჩემპიონატს არ დაკლებია ბრძოლის სიფიცხე, ვნებათაღელვა და თრთოლვა, მაგრამ მაია ჩიბურდანიძეს გამოცდილი ლოცმანივით უვნებლად მიჰყავდა თავისი ხომალდი გამარჯვებისკენ. ნორჩმა დიდოსტატმა ცხრა მეტოქეს დააყრევინა ფარ-ხმალი, რვას დაუზავდა. ამ გამარჯვებას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, მაია შორეულ ბად-კისინგენში (გფრ) ეპაექრება დიდოსტატ ა. კუშნირს (ისრაელი) ნონა გაფრინდაშვილთან მსოფლიო პირველობაზე მატჩის თამაშის [illegible]ობისათვის. მან თოთხმეტ პარტიაში უნდა დაჯაბნოს მრისხანე მეტოქე, რაც უაღრესად ძნელია და უკიდურესობამდე ამძაფრებს მათ ჭიდილს. ვფიქრობთ, რომ ლვოვის ტურნირმა მაია სულიერად აამაღლა, წარმატების ნაპერწკალი აუნთო, მაგრამ ყველანი მაინც ვღელავთ, როგორც დეკემბრის მიწურულს...

ვინც ჭადრაკის ჯავარი იცის, მოხიბლულია ნანა ალექსანდრიას დიდოსტატური თამაშით, მისი შემოქმედებითი პალიტრის მრავალფეროვნებით. ჩემპიონატშიც, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, როცა ერთპიროვნულად ლიდერობდა, ნანას თამაშის მანერა გამოირჩეოდა ელვარებით, სიმსუბუქით და სისადავით. მან მეტოქეთა რვა გვირგვინოსანი დაატყვევა, შექმნა რამდენიმე დასამახსოვრებელი პარტია. ასე იბრძვიან მხოლოდ ჭეშმარიტი დიდოსტატები, რომელთა კოჰორტის საუკეთესო წარმომადგენელი ნანაა...

ქომაგთა გულები მოინადირა 15 წლის ნანა იოსელიანმა. მკაფიო საჭადრაკო ნიჭით მადლცხებული გოგონა თავგამოდებული, გულადი მებრძოლი აღმოჩნდა. სტარტზე წაფორხილებამ ვერ დაუჩრდილა წარმატების იმედი. დიდი რიხით და პათოსით წარმართა მეორე ნახევარი, როცა ცხრა შეხვედრაში 8,5 ქულა მოაგროვა და ნანა ალექსანდრიას დაეწია. განსაკუთრებით მოსახსენებელია მისი პრინციპული გამარჯვება დასკვნით ტურში სსრ კავშირის 1976 წლის ჩემპიონ ა. ახშარუმოვასთან, რომელიც საპრიზო ადგილს უმიზნებდა. საბოლოოდ მოსკოველი მოჭადრაკე მეოთხეზე გამოვიდა. ნორჩმა ოსტატმა თავისებური რეკორდიც დაამყარა: მხოლოდ მან შეძლო ათი პარტიის მოგება!

პატარა ნანაც, როგორც მისი მეგობარი მაია, ამჟამად ბრძოლის ველზეა: იგი იუგოსლავიაში მონაწილეობს გოგონათა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. მისგან ახალი მწვერვალის დაპყრობას ველით.

ჭადრაკის სამყარო განაცვიფრა ქართველი ქალების შთამბეჭდავმა, მანამდე გაუგონარმა მიღწევამ. ყველას აინტერესებს ამ წარმატების საიდუმლოება. მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის აზრით, მისი ახსნა მხოლოდ თვით ქართველებს შეუძლიათ. ეს საიდუმლო ჩვენი ქალების მდიდარი ბუნების წიაღშია, ყოველდღიურ შრომასა და მამულიშვილობაში, სიყვარულსა და კდემამოსილებაში, რომელთა გარეშე არც საჭადრაკო სარბიელზე შეიძლება გამარჯვება.

ძნელია აუღელვებლად გაიხსენო ფიდე-ს გენერალური მდივნის ქალბატონ ინესა ბაკერის (ჰოლანდია) მართალი სიტყვები, რომელიც მან 1975 წელს საქვეყნოდ წარმოთქვა: „მინდა მადლობა ვუძღვნა საქართველოს, მშვენიერ საქართველოს, რომელიც ცნობილია სტუმართმოყვარეობით და კულტურით, იმისათვის, რომ მან თავისი საუცხოო ასულები აჩუქა ჭადრაკს. საქართველო რომ არ იყოს, ქალთა ჭადრაკის სამყარო ალბათ... არსად იქნებოდა“.

ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია სათქმელი, რომ ახალფეხადგმულ წელშიც ქართული ჭადრაკის აფოთეოზის მოწმენი ვიქნებით. ამის საწინდარია ჩვენი მოჭადრაკე ქალების დაუცხრომელი ლტოლვა წარმატებისკენ სამშობლოს სადიდებლად.

ლვოვიდან დაბრუნებისთანავე სახელოვანი მოჭადრაკეები ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ საახალწლო ნაძვის ხეზე მოიწვია. ეს ფოტოებიც მაშინაა გადაღებული. ამ გულთბილ შეხვედრაზე ყველამ იწამა, რომ 1978 წელიც მათთვის ფეხბედნიერი იქნება.

თენგიზ გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წერილი ქალიშვილს

ერთი თვეა დავბრუნდი შენი სოფლიდან, ჩემო ტასიკო, და აგვისტოს მზის ჩრდილივით ამედევნა შენზე ფიქრი. სულ თან დამდევს ზვიადი ალავერდის კედლების ლანდი. ცაში გამოკიდებული მირაჟივით მეჩვენება თეთრგიორგი. ბახტრიონის საფიცარი ქვების ხავსმოდებული ნატეხებიც გამოუცნობ სიამოვნებას მანიჭებს. თვალწინ მიდგას მწვანეში ჩაფლული შენი სოფელი ოჟიო. თავისი ვენახებითა და ბაღებით, ალაზნისპირა ჭალებითა და სახნავ-სათესებით დამშვენებული. უნდა გამოგიტყდე, ტასიკო, რომ ახლა, სულ სხვა თვალით ვუყურებ იმ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, შენი რაიონიდან რომ ჩამოდიან ქალაქში. ჩამოდიან და გაშლილ მინდორზე ლალი ხარებივით გალაღებულებს აკვნის არტახებად ეჩვენებათ თბილისის ქუჩები. ახლა ისინი შენი დობილები და ძმობილები მგონია. მართალია, ფიცვერცხლნაჭამი არა ხართ, მაგრამ მათაც ხომ გაიარეს ის საამაყო და სასიქადულო გზა, რომელზეც ასე თამამად და სიხარულით მიაბიჯებ. გაიარეს, შრომით მონაგარი ლუკმის ფასი გაიგეს და ისე შეაღეს ჩვენი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის კარები. დაილოცოს ეგ გზა, ეგ საქმე, რომელმაც დამაფიქრა, კალამი ამაღებინა ხელში!

დიდხანს, დიდხანს გამყვება იმ ალალი და მართალი ადამიანების სახეები, შენს სოფელში რომ ვნახე. ის ნათელი, კრიალა თვალები, ავადმაცეცებელი კაცის თვალების ნიშან-წყალი რომ არ ეტყობა. ფეხით მოვდიოდი და შენს სახლს დავეძებდი.

— ტასიკო ნახუცრიშვილის სახლს ვერ მიმასწავლით მეთქი? — ვკითხე წყაროსთან თავმოყრილ თავსაფრიან ქალებს.

გაელიმათ, ისევ ტასიკოს კითხულობენო. ჩვენი „ჭრიჭინა“ ახლა მინდორში იქნებაო, — მითხრეს და თან ამედევნენ. გნახე, გოგირდის შესაფრქვევი აპარატი გეჭირა, ვენახში იდექი და ვაზებს ეალერსებოდი. თუთის ქვეშ ჩამოვსხედით და დიდხანს ვისაუბრეთ. ჩემს თვალწინ ცოცხლდებოდა შენი ბავშვობის წლები. თორმეტი წლის გოგონამ ქისტაურელი მეაბრეშუმე ქალის — ოსანა აივაზაშვილის გმირობის ამბავი წაიკითხე გაზეთში და უკან აედევნე მურის მოსატანად ახმეტაში მიმავალ ბებიას. ახლა შენი გაოცებული თვალები მახსოვს, როცა კოლოფში მოფუტფუტე მწერები ნახე. შემდეგ იმაზე გაოცდი, როცა წვრილად დაკეპილი თუთის ფოთოლი მოანამცეცეს. მსხვილდებოდნენ აბრეშუმის ჭიები და, აქაოდა, ბებიას ხეებზე სიარული უჭირსო, კენწერო-კენწერო უვლიდი თუთის ხეებს. ბობსა თუ კუწუწს დაეძებდი. მაშინ ხომ მთელი სოფელი შემოირბინე, როცა ბებიამ აბრეშუმის პარკის საფასურად ახალი კაბა გიყიდა. მომდევნო წელს მან უფრო მეტი მური მოიტანა. შენც წამოიზარდე და მოხუცს შრომა გაუიოლე. წუხდი, სოფელს თუთის პლანტაცია არ ჰყოფნის და ფოთლის საშოვარზე შორს უხდებათ სიარულიო. მამას სთხოვე თუთის ნერგები მიშოვეო და ადვილად დაითანხმე. საკარმიდამო ნაკვეთიდან 0,05 ჰექტარი გამოყავი და საკუთარი პლანტაცია გააშენე. სახლის გვერდით ჩამავალი მდინარის ნაპირებიც არ დატოვე და დარაჯებად დაურგე თუთის ხეები. რა იცოდი, ტასიკო, რომ ხუთი წლის შემდეგ ასე გამოგადგებოდა ბავშვობის ნამოქმედარი.

მავთულზე შემომსხდარი ბეღურებივით გაფრინდნენ წლები და მალე სკოლასაც დაემშვიდობე. რა ძალამ, რა სიყვარულმა ჩაგაკეტინა კარადაში ეგ კრიალა ატესტატი, შიგ მერცხლებივით რომ ჩაფრენილან ხუთიანები? ეს მეოთხე წელია უკვე, რაც სკოლა დაამთავრე. არც ინსტიტუტის კედელთან ატუზულხარ და არც რეპეტიტორებთან გირბენია წიგნებით. ყვითელი პარკები განიჭებდა უსაზღვრო სახარულს და შენც სიამოვნებით მიეცი თავი ამ სასიქადულო საქმეს. ახლა ზაფხულის ის თბილი ღამეებიც წარმოვიდგინე, როცა თოვლივით თეთრი, თითისიგრძე ოსტატები პირველი ქსელის გაბმას აპირებდნენ. შენ ელოდი პირველი მახარობლის გამოჩენას. საჭიე ოთახის კართან იჯექი და ღამეს უთევდი. ხელში ჩონგური გეჭირა და მღეროდი. მღეროდი შრომაზე, სიხარულზე. ახმეტური შაირებიც ხომ შენებურად გადააკეთე.

ახმეტელი ქალი ვიყავ,
ახ, ნეტავი მეო,
მთელი ხუთი წელიწადი
ოსტატს ვებარეო,
აბრეშუმის სიყვარული
მისგან ვისწავლეო.

ვიცი, ოსტატს ახსენებ და ოსანაზე ფიქრობ. ოსანასეული მეთოდი აირჩიე და ღლელამურმა კვებამ მართლაც დააჩქარა პარკის ახვევა. დიდხანს ფიქრობდი იმაზე, თუ რა გზა გამოგენახა აბრეშუმის პარკის ხარისხის გასაუმჯობესებლად. წუხდი, როცა პარკის წუნი და ჩხარი საერთო ხარისხიდან თვრამეტ პროცენტს აღწევდა. შენი წუხილი ბებოს გაუზიარე და მოსაზრებაც გააცანი. წუნისა და ჩხარის მიზეზი ჰიგიენური პირობების დაუცველობით ახსენი. მართა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, ჭიას გადაღებას არ უგვიანებდი, მაგრამ დამსხვილების ფაზაში ეს საკმარისი არ იყო. ლასტებზე ბლომად გროვდებოდა ანარჩენი. მაშინ ასეთ ხერხს მიმართე: ლასტებზე მხოლოდ თუთის ცარიელი ღიკვები დაუტოვე ოსტატებს, ლასტების ქვეშ კი ათი სანტიმეტრის დაშორებით მუყაოს ფურცლები დაუკიდე, სადაც ანარჩენი გროვდებოდა. ეს ამბავი თანატოლებსაც გაუზიარე და მალე შენი წამოწყება ახმეტაში ბევრმა ირწმუნა. ღელავდი, მაგრამ გწამდა, რომ არ შეიძლებოდა ჰიგიენის დაცვის ასეთ მეთოდს პარკის ხარისხზე არ ემოქმედნა. აკი გაიკვირვა კიდეც ახმეტის რაიაბრეშუმის ლაბორატორიის გამგემ დარიკო ბერიკაშვილმა, როცა შენი ჩაბარებული პარკის წუნმა და ჩხარმა მხოლოდ თორმეტი პროცენტი შეადგინა. შენი სახელიც პირველად დარიკომ მიხსენა. მისი მეგზურობით მოგაგენი და დიდი სურვილიც გამიჩნდა საქვეყნოდ მომეფინა შენი ამბავი. დარიკო მეუბნება: ტასიკო ნახუცრიშვილი ჩვენი ახალგაზრდა ოსანაამ; მას ბავშვთა რგოლიც აბარია და ოჟიოს სკოლის მეაბრეშუმეებს კონსულტაციებით და რჩევა-დარიგებით ეხმარებაო. ახლა ის დრო მახსოვს, ტასიკო, როცა ოჟიოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დაგიბარა და საიდუმლოდ გაგანდო: პარტიის რიგებში მიღებას გიპირებენო. ხოლო რეკომენდაციის ამბავი ხომ ერთმანეთს არ დააცალეს შენი სოფლის პარტიის ვეტერანებმა. ის დროც მახსოვს, ოჟიოს კლუბში ხალხმა რომ მოიყარა თავი. საზეიმო საღამო გქონდათ თანასოფლელებს. შენ კი დარცხვენილი იჯექი და თვალით ზომავდი გაკეთებულსა და გასაკეთებელს. აი, შენი გვარიც ამოიკითხეს. შენ ფეხაბლანდული მიდიხარ სცენაზე და სახე გეწვის სიწითლისაგან. აღარც გახსოვს, როგორ დაგკიდეს მკერდზე მედალი „შრომითი მამაცობისათვის“.

გულმა არ მომითმინა და ახმეტიდან წამოსვლის წინ კიდევ შემოვიარე შენთან. შინ მარტო დამხვდი. ეზო-კარი დაგეკრიალებინა. მწნილის ქილებიც კი დაგერეცხა და მზეზე გამოგედგა გასაშრობად. გვერდით ატმითა და მსხლით სავსე გობი მოგედგა და საკომპოტედ ამზადებდი. კუტკუტით მოგადგა კრუხი და დედა ინდაური. შენც საკენკით კალთა აივსე და ფრინველი დააპურე. თუხთუხით გამოყვეს ღორებმა თავი გომურიდან. მოკრძალებით მითხარი, არც მეცხოველეობას ვტოვებ უყურადღებოდო, ოთხ ღორსა ვზრდი და სახელმწიფოს 400 კილოგრამ ხორცს ჩავაბარებო. მევენახეობა ხომ ჩვენი ოჯახის ძირითადი დარგია, აქაც არ დამიკლია ჩემი ხელი, მართალია, მამაჩემმა თოხსა და ბარს არ გამაკარა, მაგრამ ხვეულა-ფურჩქნა და ვაზის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა ჩემთვის სულ ადვილიაო. სიხარულით უსვამდი ხელს შემღვრეულ მტევნებს და ვაზებს წამოზრდილ ნამსხვრევს აცლიდი. 5 ტონას ჩავაბარებთ სახელმწიფო მარანსო. ამ ციფრმა ცოტა ღიმაეჭვა, მაგრამ როდესაც მთელი ვენახი შემოვიარე, დავრწმუნდი — ალღო არ გღალატობდა.

იქნებ ყველა წვრილმანზე ფიქრის გამხელა საჭირო არ არის, ჩემო ტასიკო, მაგრამ როცა საერთო საქმის გვერდით ქალის მადლიანი ხელი საოჯახო და პირად საქმესაც კარგად სწვდება, ეს მართლაც გასამხელი და სათქმელია.

არაფერი გამკვირვებია შენს ოთახში. არც დაკრიალებული ავეჯი და არც მაგიდაზე მიმოფანტული ჟურნალ-გაზეთები. წიგნებმა, წიგნებმა გამაოცა. ქართველი კლასიკოსების გვერდით ეწყო ტოლსტოისა და პუშკინის ტომები, ჰემინგუეის და რომენ როლანის ქართული თარგმანები. ესენი ოთახის სამკაული არ იყო. შენთან საუბარმა დამარწმუნა, რომ შორეულ პატარა სოფელშიაც შეიძლება ეზიაროს ადამიანი მაღალ კულტურას.

შემპირდი ბარათს მოგწერო და დააგვიანე. მე კი უკვე ვიცი, რის მოწერასაც აპირებ: წლეულს ჩამოხვალ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და დაუსწრებლად დაიწყებ სწავლას. რა თქმა უნდა, არჩევანზე არ მიდგება საქმე. მეაბრეშუმეობის ახალი საიდუმლოებების ძებნა უნდა განაგრძო.

ახლა კარგად ვხედავ იმ გზას, რომელზეც უნდა იარო. მე ვხედავ ქალს, საქვეყნოდ დაფასებულს, დედას, მეუღლეს. ამის გარდა ქალისათვის სხვა დიდი ბედნიერება აღარ არსებობს, ჩემო ტასიკო!

**გ. ბერიაშვილი**

ქეთევან მუმლაძე

## იმერეთი

მარად უკვდავ შთაგონებით
გიძგერს გული,
მირონს გაფრქვევს სიხარულის
ცრემლით ვაზი;
იმერეთი — საქართველოს გაზაფხული,
იმერეთი პოეზიის მუხამბაზი.
ჰგავს რიონი ოცნებების აზვირთებას,
თეთრი სული ლაჟვარდოვან ფიქრებს
მათოვს,
საქართველო ასე დიდი არ იქნება
უბაგრატოდ, უგეგუთოდ, უგელათოდ,
გაგიტაცებს ცა, ციურად მოალერსე,
როს ნიავი ნაზად არჩევს
მკრთალ ალიონს,
აცურებულ მზის ბადაგით მთვრალი
ლექსი,
აქ აღმოხდა აკაკის და გალაკტიონს,
მარად უკვდავ შთაგონებით გიძგერს
გული,
მირონს გაფრქვევს სიხარულის
ცრემლით ვაზი,
იმერეთი — საქართველოს გაზაფხული,
იმერეთი — პოეზიის მუხამბაზი!

## ტყის სიზმარი

ჩემი სოფლის ორღობეში,
ნაღამური იწვა მთვრალი,
და ჭადრების გამხმარ ნეშოს
შუბლს ეყარა გრილი ცვარი.
სქელი ნისლით გაბურული,
პირს იბანდა ხანისწყალი,
აღვიძებდა ტყეს „ურმულით“,
კაცი უდაბურით მწყრალი,
და ზმორებით აჭამეთიც
კარს უღებდა დილას
ცისმარს
ხურჯინს ხსნიდა
და იქიდან
ალაგებდა ლამაზ სიზმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტატიანა ჩხაიძე

ჩანახატი



პირველად ის ტირიფთან ვნახე, იმ ტირიფთან, რომელიც ადრეც მენახა, მაგრამ ასე დაყურსული, მშვიდი და ლამაზი არასოდეს მახსოვს. ის იდგა და ვიღაცას ელოდა. საოცრად წყნარი, მუქიანი თვალებით გაჰყურებდა გზას. მკერდზე ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა. შრომის გმირია. მისი სახეც საიდანღაც მახსოვს.

ოქროსვარსკვლავიანი ახლა არც ისე იშვიათია. მომრავლდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შრომის გმირები. ხუთწლედებმა მრავალი ახალი სახელი და გვარი შემატა სოციალიზმის მშენებლობის ისტორიას. ესენი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, შრომობენ, მოღვაწეობენ და მაინც განირჩევიან მიზანსწრაფვით, ბეჯითი შრომით, დისციპლინით, სიმამაცით, გამჭრიახობით და, რაც მთავარია, თავისი საქმის უსაზღვრო სიყვარულით, სიახლეებისადმი ოპტიმისტური განწყობილებით. მათი წარმატების სათავეები ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან იწყება.

აი ეს ქალი, ტირიფთან რომ ვიღაცას ელოდა, ცნობილი მეჩაიე ტატიანა ჩხაიძეა. თითქმის ოცდათხუთმეტი წელიწადია გვესმის ეს სახელი და გვარი. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნაკისრი ვალდებულება მას დროულად და გეგმის გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. მის თხელ და მოქნილ თითებს 280 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი და ჩაბარებული. მისი ხელების სისწრაფე თვით განთქმულ მეჩაიე ქალებსაც კი აოცებდათ. როცა პირველად დაიწყო ჩაის კრეფა სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში! მისი თითების სისწრაფით გაოცებულმა მერგოლურმა ნინო გოგოძემ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საქვეყნოდ ცნობილ მიხაკო ორაგველიძეს ხუმრობით უთხრა: ჩაის ფოთლის კრეფაში თუ ვინმე მაჯობებდა, არ მეგონა და ამან კი რა მიყოო.

რამდენი წლისა ხარო, — შეეკითხა თავმჯდომარე მერგოლურს. მარო გოგოძე ცხრა წლით უფროსი აღმოჩნდა ახალ რეკორდსმენზე.

არ გეწყინოს, ამან რომ გაგისწრო ჩაის კრეფაში, ცხრა წლის შემდეგ ესეც შენდენს მოკრეფსო, — დაამშვიდა თავმჯდომარემ მერგოლური.

ახლა ტატიანა ჩხაიძეა რგოლის ხელმძღვანელი. მის რგოლს გმირთა რგოლს ეძახიან. ამ რგოლში ოთხი შრომის გმირია — ნინო გოგოძე, მაშო ჩხაიძე, შურა ყუბუსიძე და თვითონ. მათ რგოლზე ხუთი ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთის, მოცვნარის ჩაის პლანტაციაა გაპიროვნებული. შარშან „გმირთა რგოლმა 80 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს. და მაინც, წარმატების სათავე იქიდან იწყება — ბავშვობის წლებიდან, სადაც პირველად იგრძნობ შრომის დიდ სიხარულს. ხშირად გაიელვებს ხოლმე გმირი ქალის თვალწინ „წითელი კალათები“, პირველი გამარჯვება, პირველი დიდი სიხარული რომ მოუტანა ჯერ ისევ მოზარდს. „შეჯიბრებაში გამარჯვებულს“ — ასე ეწერა შუა ადგილას წითლად შეღებილ კალათებს. ვინც მათ ხუთ დღეს ზედიზედ შეინარჩუნებდა, გამარჯვებულიც ის იყო. მაშინ მეექვსე კლასის მოსწავლე ტატიანა ჩხაიძე ხრიალეთის კოლმეურნეობაში მრავალრიცხოვან ოჯახის პატრონ ქვრივ დედას ეხმარებოდა ჩაის კრეფაში. ერთხელ გაიმარჯვა, მეორედ, მესამედ, მეოთხედ... მერგოლურმა მატრონა ლომაძემ დედაშვილურად სთხოვა ხელმარდ გოგონას: — ცოტა შეისვენე, ახლა სხვებსაც მიეცი საშუალება გამარჯვება მოიპოვონ და გაიხარონო.

ასეთი აუმღვრეველი და წმინდაა სოციალისტური შრომის გმირის ტატიანა ჩხაიძის გმირული შრომის სათავე. აქედან იწყება ჩაის ბუჩქების სიყვარული.

ავად რომ ვარ, ოჯახში გული არ მიდგება, ზოგჯერ სიცხიანიც გავსულვარ ჩაის საკრეფად და შინ გამოჯანმრთელებული დავბრუნებულვარ. სუფთა ჰაერზე მწვანედ გადაშლილ მოცვნარის ჩაის პლანტაციაში თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობ,—ამბობს ტატიანა.

მოცვნარის ოქროს ვარსკვლავიანი დედოფალი პირველად „ბორჯომლიკანის“ სანატორიუმში ვნახე. ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წლისთავზე საზეიმოდ განწყობილს ოქროს ვარსკვლავთან ერთად, ორი ლენინის, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები უმშვენებდა მკერდს. გმირულმა შრომამ მას კრემლის სასახლის სხდომათა დარბაზების კარები გაუღო: იყო სკკპ ოცდამეორე ყრილობის დელეგატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი (თორმეტი წლის განმავლობაში), არის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე მოწვეული აქტივთა თათბირების მონაწილე.

უბრალოება, ყველასთან წრფელი დამოკიდებულება — აი მისი თვისებები, რითაც საერთო სიყვარული მოიპოვა. და მაინც ყველაზე შთამბეჭდავი მისი მეტად ცოცხალი, მეტყველი ხელებია. ვინ იცის, რამდენ ტონა ჩაის ფოთოლს დაკრეფს კიდევ ეს საოცრად სწრაფი, თხელი და მოქნილი თითები!

მარგო თომაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთ საშაქარლამოში

ამ საშაქარლამოს ქება ბევრჯერ გვსმენია. დაინტერესებულნი რამდენჯერმე ვეწვიეთ როგორც მომხმარებელი. მოლოდინი გაგვიმართლდა...

ჭავჭავაძის პროსპექტი № 23. თბილპურვაჭრობის საშაქარლამო ნაწარმის № 64 კაფე-მაღაზია. მაღაზიის გამგე თამარ ქაჯაია.

იქვეა საწარმოო გაერთიანება „თბილპურის" მექანიკური საცხობი № 1 (გამგე — ნარცისა ასათიანი).

ფიგურული ტორტი, რომელიც ასე მოსწონთ მომხმარებლებს, მიმოზა ბოკუჩავასა და თამარ ბიძინაშვილის ნახელავია. ამ შესანიშნავ ქალებს ნამდვილი მხატვრის თვალი აქვთ. მთავრობამ მიმოზა შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, თამარი კი — ქების სიგელით. საცხობის ბრიგადირს, გურგენ ჩიტოლაძეს კი კარგი მუშაობისა და საქმის ერთგულებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენმა დაუმშვენა მკერდი.

ეს საცხობი თბილისის რამდენიმე მაღაზიას ამარაგებს.

ყველაზე მეტი ხალხმრავლობა № 64 საშაქარლამო კაფე-მაღაზიაშია. რატომ? — ვეკითხები ნარცისა ასათიანს.

— ნამცხვარი ყველგან ერთნაირი ხარისხისა იგზავნება, მაგრამ ზოგჯერ გადატანისას შეილახება ხოლმე, ზოგი კარგად არ ინახავს, ვიტრინაში ლაზათიანად ვერ ალაგებს, ყოველივე ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, მომხმარებელს საქონელი უნდა მოაწონო — თქვა ღიმილით ნარცისამ.

თეთრად ქათქათებს № 64 მაღაზიის კედლები. იატაკი სუფთაა, გაკრიალებულ ხალათებში გამოწყობილი გამყიდველი ქალები ღიმილს აგებებენ მომხმარებლებს. ვიტრინები ლამაზად, გემოვნებით არის გაწყობილი.

ორი ბრიგადა ორ ცვლაში მუშაობს. ორივეს შრომის დამკვრელის საპატიო სახელი აქვს მინიჭებული.

დილის 8 საათიდან ღამის 10 საათამდე მუხლჩაუხრელნი დგანან დახლთან უფროსი გამყიდველები: სვეტლანა შერმაზანაშვილი და ადელინა კაჭარავა; გამყიდველები: ემა დანელიანი, ჟუჟუნა ერაძე, სვეტლანა ხაჩატურიანი, საშა ცხადიაშვილი, თამარა ისაკაძე, პოლინა რუდი, ქეთინო დავითულიანი და ელზა ჯანყარაშვილი.

კოლექტივმა ერთხმად გვთხოვა, ჩვენი დამლაგებლები თამარ ყურაშვილი, რუსია ციბულკინა და მაშა რეჩმანი არ დაივიწყოთ.

ამ შეკრული, მეგობრული კოლექტივის დამსახურებაა, რომ კაფეში იდეალური სისუფთავეა. სისუფთავე კვების დაწესებულებაში მეორეხარისხოვანი როდია. აქ სწრაფი და თავაზიანი მომსახურებაა. ამიტომაც გული მოუწევთ მომხმარებლებს.

„პირველი ინტერვიუ" ოთხი წლის თამრიკოსგან ავიღეთ. გოგონამ დაიმორცხვა და მის მაგივრად დედამ გვიპასუხა: — თამრიკო აქ ხშირად დამყავს. განსაკუთრებით ნამცხვარი „სიურპრიზი" უყვარს.

—„სიურპრიზი" ჩემს ბიჭსაც მოსწონს, — ჩაერია № 55 სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლის გოჩა ძნელაძის დედა. სკოლიდან ისე არ გამოვალთ, რომ აქ შემოყვანა არ მომთხოვოს.

— ამ ხნის ქალი ვარ და ძერჟინსკის ქუჩიდან ამ საშაქარლამოში მოვდივარ, — მითხრა პერსონალურმა პენსიონერმა მარიამ ხაჩიძემ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

საშაქარლამოს შემინულ ვერანდაზე მაგიდებს სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად მისხდომიან. ზოგი ჩაის სვამს, ზოგი კაკაოს, ზოგი ნამცხვრებთან ერთად გამაგრილებელ წყალს მიირთმევს.

ბევრს ლამაზ, თეთრ ყუთებში ჩალაგებული ნამცხვარი შინ მიაქვს. ასეთი მომსახურება პირველად ამ მაღაზიაში დაინერგა.

— დღის 2 საათიდან ღამის 10 საათამდე ტევა არ არის მაღაზიაში. განუწყვეტლივ მოდის ახალგაზრდობის სულ ახალი და ახალი ნაკადი, — ამბობს თამარი და მოკრძალებით უმატებს: ძლივს ავუდივართ ამდენ მომხმარებელს.

—მაინც ვცდილობთ არავინ წავიდეს უკმაყოფილო. მაგიდების ალაგება და დასუფთავებაში მთელი კოლექტივი იღებს მონაწილეობას. ჩვენი მთავარი საზრუნავი ახლა ის არის, რომ ცოტა გავფართოვდეთ.

—თბილისის ყველა კუთხიდან მოდის მომხმარებელი. ჩაის სახლი ხომ ჩვენი მუდმივი მუშტარია, — სიამაყით უმატებს უფროსი გამყიდველი ადელინა კაჭარავა, სადღესასწაულო დღეებში ხაშურიდან, გორიდან, ზუგდიდიდან თითქმის რესპუბლიკის ყველა რაიონიდან ჩამოდის ჩვენთან მყიდველი.

განა აქ კი უმაღლესი ხარისხის ნამცხვარი იყიდება? — რა თქმა უნდა არა, მაგრამ ყველაფერი შედარებითია.

მაღაზია ყოველდღიურად 2000 მანეთის ნაცვლად 2200-2300 მანეთს ვაჭრობს.

გამგის კაბინეტში გამოფენილია კოლექტივის, მისი თითოეული წევრის ჯილდოები და სიგელები. თავად თამარ ქაჯაია დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლით შრომითი მამაცობისათვის“, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მინიჭებული აქვს ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის წოდება, აქვს ქების სიგელები და მადლობები.

აი ერთ-ერთი ჩანაწერი შთაბეჭდილების წიგნიდან: „მართლაც შესანიშნავი კოლექტივია, უაღრესად თავაზიანი, უაღრესად გულისხმიერი. მიხარია, რომ ცნობილ პოლონელ, ჩეხ, რუმინელ, იუგოსლაველ, ბულგარელ მოჭადრაკეებს, რომლებიც აქ ბევრჯერ მომიყვანია, დიდი სიამოვნება გამოუხატავთ თქვენი ლამაზი, თუ შეიძლება ითქვას, მხატვრული გემოვნებით გაფორმებული, გემრიელი ნამცხვრებისა და არაჩვეულებრივი მომსახურების გამო. ვისურვებდი ყველა სხვა მაღაზიის მუშაკებსაც მიებაძოთ თქვენთვის. მადლობა მთელ კოლექტივს.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე გ. გაჩეჩილაძე“.

ვკითხულობთ გ. გაჩეჩილაძის სიტყვებს და დიდი სურვილი გვებადება: რა კარგი იქნება — ყველა სხვა საშაქარლამოშიც ადამიანებს ასე მოუხაროდეთ!..

**ოლია რევია**

## ჩვენი მკითხველის შემოქმედება

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი დუშა სანიკიძე თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგია. მან მრავალი თაობა აღუზარდა ჩვენს სამშობლოს. და ეს თაობები ყოველთვის სიყვარულით იხსენებენ თავიანთ პირველ მასწავლებელს, მის კეთილ სიტყვას, თავდადებას, უანგარობას. ქალბატონმა დუშამ მოკრძალებით გაგვაცნო თავისი შემოქმედება. რამდენიმე ლექსი დასაბეჭდად შევარჩიეთ და ახლა ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ.

**დუშა სანიკიძე**

### ოქრო ყანა

ცას შეჭხარის ოქრო ყანა,
ოქროსფერი თმებით,
ძნის კალოზე მზე გრიალებს,
გოლიათი მხრებით.
ჩაშლილ მარცვლებს მიწა ითხოვს,
კვლავ გვიბრუნებს ხვავად,
მზე შინა და მზე გარეთა,
მზის მწვერვალზე ვდგავართ.

### შენს სიყვარულს

მუქ ლურჯ ცაში ცურავს
მთვარე,
ვარსკვლავები
ვერა ვთვალე,
მთვარის შუქში ბრწყინავს,
ელავს,
საოცნებო ჩემი მხარე.
ცის ბილიკებს გავუყვები,
მყინვარ ქედზე რიდით ვდგები,
კოლხურ მიწას დავუყვავებ.
სიხარულით აღვიგზნები.
ცოტაც, ცოტაც დამაცალეთ,
ლეგა ღრუბლებს ხელით
ვწვდები,
ჩემი ქვეყნის სანაცვალოდ
საკმეველად დავიწვები.
ცისკარს ვხვდები ბედნიერი,
შენი შუქი ფრთებს
გამიშლის,
საქართველოვ, შენთვის ვმღერი,
შენს სიყვარულს ვინ დამიშლის!

### სხვა საუნჯე რა არის

დაშაქრული შემოდგომის
თვე არის,
რა უღრუბლო, მოციალე
დღე არის,
რა კაშკაშა, მოალერსე
მზე არის,
დაუოკარ ალტაცების
ტყე არის,
დღეს ხომ ჩემი ალსარების
დღე არის,
ჩემი ლექსის დაბადების
დღე არის,
უკეთესი სხვა საუნჯე
რა არის,
მთელს სხეულში სისხლის,
ხორცის წვა არის,
გაუმხელი სიყვარულის
თქმა არის
ტკივილების, სინანულის
ტბა არის,
ლოცვების და სიხარულის
ზღვა არის,
თუნდაც ერთი ლექსი დამრჩეს,
საუკუნის ხმა არის!

### რა ხარ შენ

შენ ხარ ტაძარში
თვალის ახელა,
ფეხის ადგმა და
გრძნობის გამხელა,
შენი ვაკე და
აღმართი შენი,
გულავსებული
ლოცვაა ჩემი,
და ვარსკვლავებით
მოკენჭილი ცა —
საოცნებოცა,
საოცარიცა,
საფიცარიცა.

* * *

მე ისე მინდა, ჩემი ქვეყნის
ზეცას ჩავხედო ცისფერ თვალებში
ახლოს, სულ ახლოს...
მე ისე მინდა მივესათუთო,
დავუყვაო და ხელი ვახლო,
თუკი, ყოველდღე ჩვენ ერთმანეთს
შევცქერით შორით,
სიყვარულითა, სიკეთითა და არა
წყრომით,
რა იქნება, რომ მუხლმოყრილმა
აღვსილმა შვებით,
მისი ცვარ-ნამი შარბათივით
რომ შევაგროვე,
მისი იები, მე რომ დამათრო,
შევკრა კონებად
და მოვეახლო ახლოს, სულ ახლოს
და დავუტოვო მოსაგონებლად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუგა მიქაძის და მანანა თავაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა



გუგა მიქაძის ნამუშევრები



უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში მხატვართა ნაწარმოებების გამოფენების მოწყობის მშვენიერი ტრადიცია დამკვიდრდა. შარშან საზოგადოების საგამოფენო დარბაზი ორი მხატვარი ქალის — გუგა მიქაძისა და მანანა თავაძის ნამუშევართა გამოფენას დაეთმო.

გუგა მიქაძე და მანანა თავაძე მხატვართა სხვადასხვა თაობას ეკუთვნიან: განსხვავებული გზებით მოვიდნენ ისინი ამ გამოფენამდეც. გუგა მიქაძე სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის კლასში. მისი თაობა 50-იან წლებში გამოვიდა ასპარეზზე და ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანა ქართული ხელოვნება, რომელსაც წინათაც მრავალი გამარჯვება უნახავს. 1953 წლიდან სამხატვრო გამოფენების მუდმივი მონაწილე იყო გუგა მიქაძეც — ცოცხალი, თვალებანთებული გოგონა. მის უპრეტენზიო, მაგრამ პროფესიული ოსტატობით შესრულებულ ნაწარმოებებში მუდამ ენთო ნიჭიერების ნაპერწკალი — მომავალ გამარჯვებათა უტყუარი საწინდარი. წლების მანძილზე მუშაობის შედეგად თანდათან გამოიკვეთა მოქანდაკის მუშაობის მანერა, სტილი. თუ თავისი მუშაობის ადრეულ ხანაში გუგა მიქაძე ძირითადად მრგვალ სკულპტურებს ჰქმნიდა, (სადაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პლასტიკური ფორმის გამოვლინებას), თანდათან მხატვარი ქალის შემოქმედებაში დაისადგურა ბარელიეფმა. ბოლო წლებში გუგა მიქაძე არსებითად მხოლოდ ბარელიეფს ასრულებს. მასალად გამოყენებული აქვს ტონირებული თაბაშირი, ბრინჯაო, ხე, ტერაკოტა... მის სერიებად გაერთიანებულ ნაწარმოებებში („სოფლის მეურნეობა“, „მშვიდობის დაცვა“, „დედა და შვილი“, თუ სხვა) ჩანს მხატვრის უაღრესად თავისთავადი მანერა, ინდივიდუალური ხელწერა. გუგა მიქაძის ქმნილებები გამოირჩევა მოცულობითი და სიბრტყობრივი საწყისების ერთიანობით. იგი თავისუფლად, არტისტულად ძერწავს ფორმას, პროფესიული ოსტატობით აგებს კომპოზიციებს. ყოველი დეტალი, ყველა აქცენტი ემსახურება ნაწარმოების იდეას და, ამავე დროს, აუცილებელი ელემენტია მხატვრული სახის დასრულებულად წარმოდგენისათვის. ამასთან ერთად, ამ ნაწარმოებებში არსებითი მნიშვნელობა ხაზოვან რიტმსა და შინაგან დინამიკას ენიჭება, მათში თითქოს მოქანდაკისა და მხატვრის ხელია შერწყმული. გუგა მიქაძის შემოქმედებაში აქტიურ როლს ფერიც ასრულებს. იგი მისი ბარელიეფების არსებით მხატვრულ კომპონენტად იქცევა.

მხატვარი ოსტატურად აგებს კომპოზიციებს. სხვადასხვა ზომის გამოსახულებები საშუალებას იძლევა ხაზი გაესვას არსებითს, ძირითადს და ამით გაცოცხლდეს თხრობითი ელემენტებიც. გუგა მიქაძის მანერისათვის დამახასიათებელი ხაზგასმული ექსპრესია და დეკორაციულობა ერთგვარი გამოძახილია

იმ ტრადიციისა, რაც საუკუნეების მანძილზე ახასიათებდა ქართულ ქვაზე კვეთილობას. ეს ეროვნული ტრადიციების ერთგულება გუგა მიქაძის ნაწარმოებებში თავს იჩენს თვით შინაარსობრივ ასპექტშიც: მისი ბარელიეფები საოცრად მდიდარია სიმბოლიკით, რომელსაც მივყევართ შორს, ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებამდე, მითოლოგიამდე.

ამ გამოფენაზე გუგა მიქაძე მნახველთა წინაშე წარსდგა როგორც დასრულებული ოსტატი.

მანანა თავაძისათვის კი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში მოწყობილი გამოფენა პირველი ცდაა ფართო საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგომისა. მანანამაც სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მაგრამ განათლებით იგი არქიტექტორია. თორმეტი წელი იმუშავა მან არქიტექტურულ სახელოსნოებში, იყო მრავალი საინტერესო პროექტის თანაავტორი. მაგრამ ამ დროის მანძილზე მას ჰქონდა აგრეთვე „თავისი“ საქმე, გატაცება, რომელსაც ანდომებდა სამსახურისგან, ოჯახური საქმეებისგან თავისუფალ დროს. თანდათან, ეს ხელსაქმე — ქსოვილებზე აპლიკაცია — მისთვის ცხოვრების მიზნად, ნამდვილ შთაგონებად იქცა. მანანა თავაძემ მაღალი რანგის ხელოვნების დონემდე აიყვანა ეს საქმე, მის მიერ შექმნილი აპლიკაციები, დასრულებული მხატვრული ნაწარმოებებია; მათში ერთ-ერთი უპირველესი კომპონენტთაგანია ფერი, ეს დახვეწილი აქცენტი, რომელიც საოცრად რაფინირებულ შთაბეჭდილებას ახდენს. ამავე დონეზე დგას მათი კომპოზიციური აგებაც. ამას დაუმატეთ დეკორაციული, პირობითი მანერა შესრულებისა, დროდადრო გამოყენებულ „რეალისტურ“ ელემენტებთან ერთად; ეს ყველაფერი განუმეორებელ თავისთავადობას ანიჭებს ახალგაზრდა მხატვარი ქალის ქმნილებებს. მის ნატურ-მორტებს, ფრინველთა გამოსახულებებს, დეკორაციულ მოტივებს, მხატვრულ ღირსებებთან ერთად, იშვიათი ინტელიგენტიზმის დაღი აზის.

მნახველები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ გამოფენილ ნაწარმოებთა წინაშე, იყო მსჯელობა, კამათი, და ყველა საუბარი მთავრდებოდა ერთი შეკითხვით: რატომ არ შეიძლება ამ ნაწარმოებთა შეძენა? გუგა მიქაძის კამერული ბარელიეფები და მანანა თავაძის აპლიკაცია დაამშვენებდა თანამედროვე ინტერიერებს და დიდ ესთეტურ სიამოვნებას ´მიანიჭებდა მათ მფლობელს. ამ მხატვრების შემოქმედებას ყურადღება უნდა მიაქციონ მომსახურების სფეროს მესვეურებმაც. სასტუმროებში, კაფეებში, ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში ისინი ინტერიერებს ადამიანური სითბოს ელემენტებით გაამდიდრებს.

**ინგა ლორთქიფანიძე,**
ხელოვნებათმცოდნე.



მანანა თავაძის ნამუშევრები







მხატვარი ნანი შალიკაშვილი

# მზე ტყეში

ნარკვევი

ფანჯარაში ჩანდა შავი ცა და თოვლის ფანტელები. როცა ბავშვს მათი ცქერა მობეზრდებოდა, ჩამოდიოდა სკამიდან ძირს და კარებისკენ გასწევდა.

კუთხეში, დიდ განიერ ტახტზე ბავშვები მოკუნტულიყვნენ და თხელ შალის წამოსასხამს თავისკენ იწევდნენ.

ცეცხლი ჩამქრალიყო. დედას შესცივნოდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ მაინც ბუხარს მისჯდომოდა. მას შავი შალის ხილაბანდით წაეკრა თავი და სახე დასევდიანებოდა.

ბავშვები ტახტზე ჩურჩულებდნენ. ხანდახან ერთმანეთს აცრემლებდნენ, მაგრამ ხმამაღლა ტირილს ვერ ბედავდნენ. სახლში სიცოცხლე ჩამკვდარიყო. ოთახში ყველაფერი — სულიერი თუ უსულო გრძნობდა, რომ გარეთ, ამ მთებისა და ტყეების იქით ხალხი იხოცებოდა და შეიძლება ერთი უგულო ტყვია ამ ოჯახის მარჩენალსაც მოხვედროდა. ამიტომ გადარჩენას და შველას ითხოვდნენ ბუხართან მიმჯდარი მისი მეუღლე, ხმაგაკმენდილი პატარები და ის ნაბოლარაც, ფანჯრიდან კარისკენ რომ მიფლატუნობდა.

მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მხოლოდ მაშინ მიიხედეს, როცა გარედან ცივი ქარი შემოიჭრა და ჭრაქი აალაპლაპა. ბიჭი ღია კარებში ჩამდგარიყო და ტიტველა მუცელი სიცივისთვის შეეშვირა. იგი გარინდული იყურებოდა კარს იქით, ტყისკენ, უკვირდა, რომ მაინცდამაინც აქ არჩიეს მისმა მშობლებმა ცხოვრება. ბავშვს მთელი ქვეყანა მხოლოდ ამ ტყითა და იქვე ახლო-მახლო ჩამდგარი შავი ქოხებით წარმოედგინა.

გულ-მუცელზე რომ სიცივემ მოუჭირა, ბიჭმა კარი მიხურა, ტახტისკენ წავიდა. და-ძმას ფეხებთან დაუჯდა და თავის წილი შალი მოქაჩა. რაღაცის მოლოდინში მალე ჩაეძინა და სიზმარში ნახა, ვითომ ბნელ ტყეში იდგა და გზას ეძებდა. მერე ამ სიბნელეს სინათლის ერთი სხივი დაეცა, შემდეგ მეორე, მესამე და ბოლოს ოქროსფერმა სხივებმა გაანათა არე-მარე. ბიჭმა თვალი ვეღარ გაუმაგრა ხის წვეროზე დაკიდებულ ბრიალა მზეს.

რაღაც ხმაურზე და ჩოჩქოლზე გამოეღვიძა და დაინახა, როგორ შემოდიოდა ღია კარებში დათოვლილი ტანსაცმლით ღიმილი, სიკეთე, სითბო და ხორაგი. ბიჭი მაშინვე მაგიდასთან გაჩნდა და მის თვალწინ დალაგდა პური, შაქარი, კვერცხის ფხვნილი...

ღიმილის დეიდა, მათი ოჯახის კეთილი ანგელოზი იბადრებოდა ბავშვების სავსე პირისა და კმაყოფილი სახის ცქერისას. მათი ყოველი ლუკმა მის დაღლილ და მშიერ სხეულსაც ასვენებდა და აძლობდა. ეს უბნის ექიმი თამარ მოწონელიძე იყო, რომელიც მცხეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის უბანში მუშაობდა. ის თოვლსა და უგზოობას არ ეპუებოდა და დაუზარებლად ამოდიოდა მათთან მთაში, შვიდკომ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან სოფელში მძიმე ჩანთით. საჭმელთან ერთად თამარს მოჰქონდა მამის დაბრუნების იმედი და ქვეყნის გადარჩენის სიხარული. მისი შემოსვლა ჰგავდა მზის ამოსვლას ბნელ ტყეში, სადაც არც კაცის ხმა ისმოდა და არც ცის მნათობი ანათებდა. ბავშვებს არც უნდოდათ გათენება, რადგან მათი კეთილი ფერია დილით კვლავ დაადგებოდა ძნელ გზას საექიმო უბნისაკენ, სადაც ადრე მათი მამა მუშად მუშაობდა.

* * *

წეროვანი, გოროვანი, ჩარდახი — მისი სოფლებია. აქ ყველა ოჯახი, ყოველი ადამიანი მისი მოსავლელია. ერთს თერმომეტრი არა აქვს და უნდა დაუჯდეს, სიცხე გაუზომოს. მეორეს მდოგვის საფენები სჭირდება და საფენებს რომ მოხსნის, მერეც უნდა უტრიალოს, რომ არ გაცივდეს. მესამეს ანალიზები თუ არ გაუკეთა, დიაგნოზს ვერ დაუსვამს. ანალიზები მან უნდა ჩაიტანოს მცხეთის ლაბორატორიაში. მეოთხეს, მეხუთეს და კიდევ სხვას წამალი თუ დროზე არ მიაშველა, მდგომარეობა გაურთულდება და აფთიაქიდან სასწრაფოდ უნდა აირბინოს ფეხით ისევ წეროვანში, გოროვანში, ჩარდახში და ხშირად იმ შვიდკომლიან სოფელში, სადაც ბავშვი სიზმრად ტყეში მზეს ხედავს. ეს სოფელი მსხალტბაა, პოეტური სახელით, პოეტური ბუნებით და ადამიანებით დამშვენებული.

ასეთია ახალგაზრდა თერაპევტის თამარ მოწონელიძის ცხოვრება, რომელსაც ინსტიტუტი ახალდამთავრებული აქვს და ომის სიმძიმეს ყოველ ნაბიჯზე გრძნობს წამლების, ფულის, საჭმლის ნაკლებობით, და ხალხს ამ სიმძიმეს იმით უმსუბუქებს, რომ საკუთარი ოჯახი არა აქვს და რასაც შოულობს, მორიგეობით სხვების ოჯახებში შეაქვს.

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, მაგრამ დღესაც რომ იკითხოთ ამ სოფლებში თამარა ექიმი, ყველას თვალები უბრწყინავს და სიყვარულით ამბობენ, თამარი ჩვენი ღმერთიაო.

მას დაბადებიდან დაჰყვა დიდი სიკეთე და სხვისთვის, მხოლოდ სხვისთვის ზრუნვა და ფიქრი. საკუთარ თავზე მაშინ ფიქრობს, როდესაც მისი თავი სხვას სჭირდება.

თბილისში რომ წამოვიდა სამუშაოდ, სოფლები ატირებული დატოვა. ყველას — მოხუცს და ახალგაზრდას ასე ეგონა, პატრონი დავკარგეთო. მსხალტბაში ლევან გაბარაშვილის ოჯახის ყველა წევრს უნდოდა თან წამოჰყოლოდა. მაგრამ სულ უმცროსმა გიამ სხვებს აჯობა და დეიდა თამარს თან გამოჰყვა. იზრდებოდა გია თბილისში, ერთ პატარა ოთახში. თამარს დედას ეძახდა, თამარის დედას კი — ბებიას. დედა რომ სამუშაოზე მიდიოდა, ბებია იყო მისი მომვლელი. ბავშვის ავადყოფნა თუ კარგადყოფნა თამარს გულისკანკალს ხან უმატებდა და ხან უკლებდა. თამარს მზე გიაზე ამოსდიოდა, გიას კი თამარი მზის დარი ეგონა. ზაფხულობით თამარი და გია მსხალტბაში ჩადიოდნენ, სადაც დიდი სიხარული და სიყვარული ხვდებოდათ. ერთხელ, როცა თამარი ბავშვიანად თბილისში ბრუნდებოდა, უმცროსმა გოგონამ, მარიკამ თავის ორიოდე გახუნებული კაბა მოაგროვა და ისიც თამარს გამოჰყვა. ბავშვს დიდ სურვილზე უარი ვეღარ უთხრა მოსიყვარულე გულმა. მარიკაც თამარის უნებურად მის შვილად იქცა. ღვიძლი დედა ვერ გააკეთებდა იმას, რასაც თამარი ბავშვებისთვის აკეთებდა — არ აკლებდა მოვლა-პატრონობას, ჩაცმა-დახურვას, აგარაკს. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც თამარმა მათ ჩაუნერგა — პატიოსნება, შრომისმოყვარეობა და სიკეთის სიყვარული იყო. ასე დაიზარდნენ გია და მარიკა მოწონელიძეები, უმაღლესი განათლება მიიღეს, სპეციალისტები გახდნენ, შვილები შეეძინათ, მაგრამ დიდი ყურადღება და პატივისცემა, რასაც დედისადმი იჩენდნენ, ოდნავადაც არ განელებიათ.

მისი ოჯახი მრავალრიცხოვანია. გიას და მარიკას დები და ძმა თანდათან წამოვიდნენ მსხალტბიდან თბილისში, თამარს შეეკედლნენ, ისწავლეს, სამსახური დაიწყეს, დაოჯახდნენ. მსხალტბაში მოხუცი ცოლქმარი მარტო დარჩა. მათ იქ ურჩევნიათ ყოფნა — მამა-პაპის მიწაზე, მითუმეტეს, რომ შვილების ყურადღებას ყოველთვის გრძნობენ.

ხუთი ბავშვის გაზრდა მარტოხელა ქალისათვის ძნელია. თამარი კი მათ სიყვარულში გრძნობდა შვებას, ავიწყდებოდა დაღლა, ოღონდაც სწორ გზაზე დაეყენებინა, ადამიანებად ექცია ისინი. მათი სიკეთისათვის არ თაკილობდა არაფერს, ზოგჯერ შეუფერებელ სამუშაოსაც კი.

**20 წელია** თბილისის მეჩვიდმეტე პოლიკლინიკაში მუშაობს. მისმა ძველმა პაციენტებმა ბინები გამოიცვალეს და ქალაქის სხვადასხვა რაიონებში დასახლდნენ. როცა ავად არიან, თამარს შინ უგზავნიან კაცს და ნახვას თხოვენ. მისი სჯერათ, მისი ხელის და გულის სითბო იციან. ერთ-ერთმა ავადმყოფმა, რომელიც სოფელში წავიდა და ავად გახდა, თამარი იქ გამოიძახა.

მისი ცხოვრების მიზანი ხალხისათვის სამსახურია. ამაში დიდ ენერგიას ხარჯავს, მაგრამ სიამოვნებას და კმაყოფილებას პოულობს. შვილები წუხან, რომ დედა ძალიან იღლება, რომ ის არასდროს არ ფიქრობს თავისთავზე, დასვენებაზე.

მაგრამ...

ის არც მაშინ იღლება, როცა ყველა ავადმყოფს საღამოთი ხელმეორედ მოინახულებს, მდგომარეობას შეამოწმებს და თავის გამოკეტილი სახლის კარებს შეაღებს, არც მაშინ, როცა შვილიშვილებს უთევს ღამეს და შვილების გადატანილი ავადმყოფობა ახსენდება, არც მაშინ, როცა შვილები და გაზრდილები ერთად იყრიან თავს და დასვენების დღეებში მსხალტბაში ადიან.

სხვაგან არსად არ არის ასეთი ცივი წყაროები და ასეთი ხშირი ტყე... არც ასეთი სუფთა ჰაერი და ასეთი სილამაზე.

და არსად ისე არ ანათებს მზე ტყეში, როგორც მსხალტბაში!

ლია კაკაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინა ტატიშვილი

# წაუკითხეთ პატარებს

# პატარა მებაღეები

## ხოშკაკალა

ერთხელ, ნასადილევს, გიორგი თავისი პატარა იარაღით შოშიის ბუდეს აკეთებდა, ხერხავდა თხელ ფიცრებს, აშალაშინებდა, აჭედებდა. მაიკოს დედა აქანავებდა საქანელაზე. ამ დროს პაპის ძახილი მოესმათ:

— აბა, მზე უკვე გადაიხარა, მორწყვის დროა.

წამოცვივდნენ ბავშვები, მოძებნეს თავთავიანთი პატარა სარწყავები და ეზოში ონკანთან აიტუზნენ; პაპამ გაუვსო წყლით სარწყავები და, ის იყო მორწყვა დაიწყეს, რომ უცებ დაიქუხა. ისეთი შხაპუნა წვიმა დაუშინა, ძლივს შეასწრეს სახლში. ბავშვები ჟივილხივილით აცვივდნენ აივანზე. უცებ გიორგიმ დაიძახა:

— სეტყვა, სეტყვა!

მართლაც, ისეთი ხოშკაკალა წამოუშინა, ერთბაშად გადათეთრდა ეზო. ბავშვები დარბიან, თეთრ ბურთებს აგროვებენ, ბურთები ხელში უდნებათ და ისევ კრეფენ. უფროსები კი გულშემოყრილები გასცქერიან გადაქათქათებულ ეზოს:

— ვაიმე, ვაიმე, სულ გაანადგურებს ყველაფერს. — ვიშვიშებს დიდედა.

— ეჰ, რაღა ახლა მოუნდა ამ დალოცვილს! — ჩაილაპარაკა პაპამ.

— რათა, პაპა? — ეკითხება გიორგი.

— რათა და, ახალჩარგული ნერგები მეცოდება. სოფელში იტყვიან ხოლმე, ნასეტყვარი ხე შვიდ წელიწადს ვერ გაიმართება წელშიო.

იმ ღამეს, როგორც კი თვალები დახუჭა, გიორგიმ სიზმარში ნასეტყვარი ყვავილები ნახა.

## სიზმარი

რას გავხარ ზიზილა, როგორ მოგითხუპნია პირი! — იცინის მიხაკი.

— რა ვქნა, შენსავით მაღალი არ გავუჩენივარ ღმერთს. — იწყინა ზიზილამ.

— ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო. შენც კარგად მოხრილხარ წელში, მიხაკო, ნეტა ვის დასცინი! — შეუწყრა ვარდი.

— შენ რა გიჭირს, იმ სიმსხო ყლორტები გაქვს, ვერაფერს დაგაკლებს.

— არც ძე დამაკლო, მეც ჩამითეთქვა ფურცლები.

საწყალი იაჟუჟუნა სულ მიწაზე გაუკრავს წვიმას. და ახლა ჩუმად ქვითინებს.

— სუ, სუ, რა გატირებს, შე საწყალო, მოგეშველებიან, გაგასწორებენ და ისევ მოიღერებ ყელს. — ბუბუნებს მიწა.

ამასობაში ატმის ჩრდილმა გადაინაცვლა ნელ-ნელა და მზემ მოაფრქვია სხივები ყვავილებს, მიუალერსა, გაამხნევა.

— რამ შეგაშინათ, თქვე გლახებო, აქ არა ვარ? აგერ, სადაც არის ადამიანები მოვლენ, მოგეშველებიან.

— ახლა ქარი რომ ამოვარდეს, ხომ სულ მიწასთან გაგვასწორა! — ღელავს ოსმალური მიხაკი.

ნიავმა გაიგონა, ფრთხილად ჩაურბინა დაზარალებულებს და დაამშვიდა:

— ეგ რამ გაფიქრებინათ? რა ვქნა, განა მე არ მესმის? ახლავე გადავიკარგები შორს, ახლოსაც არ გაგეკარებით, — თქვა და გაშრიალდა, ხეებს გადაურბინა და გაქრა.

## კრუხ-წიწილა

დღეს, დილიდანვე ბოსტანში მუშაობენ დიდედა და გიორგი.

— ამას წინათ არ გავმარგლეთ, დიდედ?

— ჰო, მაგრამ ნახე რამდენი ბალახია, ამიტომ გეუბნები ხოლმე, ძირიანად უნდა ამოიღო სარეველა.

— ძირიანად ვიღებ, აი, ნახე, — და ფესვიანი იონჯა გაუწოდა.

— ჰო-ო, ეგრე. აჰა, ეს პატარა დანა და უფრო ადვილად ამოაგდებ.

— პამიდვრებსაც უნდა გამარგვლა, ნახე რამდენი სარეველა მორევია.

— მაგას თოხით გამარგლავს პაპა. მწვანილს უნდა ხელით მარგვლა, თორემ ეგ ადვილია. წადი, ქუდი დაიხურე, მზემ არ დაგაცხუნოს.

— არა, არა, ჯერ არა ცხელა.

— წადი, წადი, ნუ გეზარება, წყალიც წამოიღე დოქით. — გიორგი წამოდგა და სახლისკენ გაემართა.

— დიდედა-ა, შეხედე-ე!

მოისმა ცოტა ხნის შემდეგ გიორგის გახარებული ხმა.

— რა იყო, ბიჭო? — გასძახა ბოსტნიდან დიდედამ.

— წიწილები, წიწილები-ი!

დიდედა წამოდგა და ხედავს: დაკრუხუნობს ეზოში ჭრელა დედალი, თან წიავ-წიავით ყვითელი, ფუნფულა წიწილები დაჰყვებიან.

— წყალი მომქონდა და უცებ გრაკლის ბუჩქებიდან გამოვიდნენ, — სხაპასხუპით ყვება გახარებული გიორგი.

— ხომ გითხარი, კვერცხები გადამალული ექნება-მეთქი.

— ნახე, რა კარგები არიან! — თქვა გიორგიმ და წიწილის ასაყვანად დაიხარა, მაგრამ ჭრელა კრუხმა ფრთები გაშალა და ქორივით გამოქანდა. შეშინებულმა ბიჭმა ხელი უშვა წიწილას და დიდედასაკენ გაიქცა.

— ხელი არ ახლო, თორემ სულ დაგიკორტნის ხელებს.

— რა ქოფაკი ყოფილა!

— ჭრელამ ერთხანს კიდევ იქოთქოთა, მერე ბლის ძირში ჩაჯდა. წიწილები ფრთებქვეშ უძვრებიან, ყველას ვერ იტევს ფრთები — ხან ერთი გამოვარდება წივილით და ზურგზე შეაფოფხდება კრუხს, ხან მეორე; წივწივებენ, დედის თბილ ბუმბულს ეტმასნებიან.

— წამო, გიორგი, დიდი საბუდარი მოვუწყოთ, ახლა ხომ შეიყვანს საქათმეში წიწილებს. გაიქეცი, თივა ამომირბენინე ბაღიდან.

გიორგი გაიქცა, თივა ამოიტანა და ნაცარას მყუდრო საბუდარი მოუწყეს საქათმის კუთხეში.

გიორგიმ საღამოხანს ისევ საქათმეში შეიხედა. ყველა წიწილას უკვე შეეფარებინა თავი დედის ფრთებისთვის. მხოლოდ ერთი ყვითელი, შავქოჩორა წიწილა ვერასგზით ვერ შეეტია კრუხის ფრთებქვეშ; რამდენჯერაც შეძვრა, იმდენჯერ უკანვე გამოაგდეს. ბოლოს დედის წინ დაიწყო წრიალი და თან განაწყენებული წივწივებდა:

— წიავ, წიავ, წა-ვალ, წა-ვალ!

კრუხი დინჯად ამშვიდებდა გაბუტულ შვილს:

— კრუხ, კრუხ, დამშვიდდი, რას დიდგულობ, რა მოგივიდა. ძილის დროა, ყველამ დაიბუდა, შენც მოისვენე და სხვებიც მოასვენე. ასეთი გადარევა სად გაგონილა. რას ჭირვეულობ, სად უნდა წახვიდე. სად წამსვლელი ხარ, ჯერ რიგიანად არც შებუმბლულხარ. მომეკარი აგერ და გათბები, კრუხ, კრუხ, კრუხ.

ასე გაიგო გიორგიმ კრუხ-წიწილის წივილ-კრუხუნი და ბევრი იცინა.

წიწილამ კი, რაკი ასე საქვეყნოდ ამხილეს, დაირცხვინა, ნელნელა უკლო წიავ-წიავს, დედას მკერდზე მიეხუტა და გაყუჩდა. ეტყობა, მაშინვე ჩაეძინა.

გარეთ ბინდი წვებოდა, ისმოდა ორღობეში შემოსული ნახირის ხმა, ხბორების ბღავილი. თანდათან ეს ხმაურიც მიწყნარდა. სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა. გიორგი საქათმეს მოშორდა და ნელი ნაბიჯით შინისკენ გაემართა. ახლა მას ნელი ცეცხლის პირას პაპის ზღაპრები ელოდა.

## ბებიას ნაამბობი

ყოველ დაბადების დღისათვის დედა ახალ კაბას მიკერავდა. თავად ჩამაცმევდა, მომრთავდა და სურათის გადასაღებად წამიყვანდა.

ბევრი სურათი დამიგროვდა.

ახლა ვზივარ და ჩავცქერი ფერგადასულ სურათებს.

ცოცხლდება სადღაც მიყუჟული მოგონებები.

ზოგი სურათი ღიმილს მგვრის, ზოგიც მწარედ მაფიქრებს, ზოგს უცებ გადავდებ, ზოგს დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ ვაშორებ თვალს...

აგერ, დედა სავარძელში კოპწიად ზის. მე, მარცხნივ ვდგავარ, მის მხარზე ხელდაყრდნობილი. კოხტად შეკერილი იასამნისფერი ხავერდის კაბა-ხაბარდა მაცვია, გულისპირი და მაღალი სამაჯეები შავი გიპიურით არის გაწყობილი.

მე მაშინ...

მაშინ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი.

წინა კვირას დავთქვით, ჩემთან შევკრებილიყავით. ეჭვს ვერავინ მოიტანდა, ჩემი დაბადების დღე იყო და, შევეძლო უფრო დიდი საქმისათვისაც გვეზრუნა.

გათენდა კვირა, ჩემი დაბადების დღე.

პირველად დედამ დამლოცა, მამის მაგივრადაც გადამეხვია, ახალ კაბაში გამომაწყო და ყველაფერი კარგი მისურვა.

სხვაგვარად ნუ ჩამომართმევთ და... ხაბარდა კაბა ძალიან მიხდებოდა, განსაკუთრებით, შავი გიპიურით გაწყობილი გულისპირი და მაღალი სამაჯეები პირდაპირ მხატავდა.

ოთახი ყვავილებით მოვრთე.

დათქმულ დროზე მეგობრები მოვიდნენ. ერთ-ერთმა თითქმის ჩემოდენა თვალხუჭია დედოფალა შემაჩეჩა ხელში. დედოფალასაც სწორედ ჩემნაირი ხავერდის კაბა-ხაბარდა ეცვა...

გრამაფონი ახმიანდა.

დედა მაგიდას აწყობდა.

— მოიტანეთ? — ვკითხე მეგობარს.

მან თვალებით იმ ყუთზე მანიშნა, რომელშიც დედოფალა იდო...

ყუთს ხელი დავავლე და მეორე ოთახში გავიტანე.

როცა დავბრუნდი, მაგიდა უკვე გაწყობილი იყო.

— დღესვე უნდა ჩაბარდეს — მიჩურჩულა მეგობარმა.

მაგიდას შემოვუსხედით.

პირველად რა თქმა უნდა ჩემი სადღეგრძელო შეისვა; ვიღაცამ ლექსიც კი მიძღვნა. მერე „მანჯურიის მთების" წარმტაც მელოდიაზე ვალსი ვიცეკვეთ.

მე და ჩემი დედოფალა ერთად დავსრიალებდით.

კარებზე კაკუნი გაისმა.

გრამაფონი ჩავაჩუმეთ.

კაკუნი ცოტა უფრო ძლიერ, უფრო უხეშად განმეორდა.

მე და ჩემმა მეგობარმა თვალებით ერთმანეთი მოვინახეთ.

მერე მშვიდად გავწიე კარებისაკენ. კარი გამოვაღე და ჩემდაუნებურად ნაბიჯით უკან დავიწიე. თუმცა იმ წუთსვე მოვედი გონს და, ნაძალადევი ღიმილით სამი პოლიციელი და ერთი ჟანდარმი ოთახში შევიპატიჟე.

— მაპატიეთ! — ფეხი-ფეხს შემოჰკრა ახალგაზრდა ჟანდარმმა, — მისი უდიდებულესობის სახელით! — ოთახს თვალი მოავლო, დედასთან მივიდა, რაღაცა ქაღალდი გადასცა, თან დასძინა:

— ბინა უნდა გავჩხრიკოთ!

— რატომ? — გაცეცხლდა დედაჩემი.

ჟანდარმმა ჯერ გაიღიმა, მერე თვალები დააწვრილა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა: პროკლამაციები...

— პროკლამაციები? ჩემს სახლში? — გაფითრდა დედა.

იქნებ სჯობდა თავიდანვე მეთქვა ყველაფერი დედაჩემისათვის...

ბედნიერი ქალი ვარო, ვაჟიშვილი რომ მყოლოდა, ამ არეულობის დროს რამე უბედურებაში გაეხვეოდაო, იძახდა წამდაუწუმ.

— შვილო!..

— ნუ გეშინია, დედა, ჩვენთან ვის რა ხელი აქვს! — ვთქვი მშვიდად და მამის სურათს ავხედე.

მომეჩვენა თითქოს ულვაშებში კმაყოფილად ჩაეცინა, მამას...

მეგობრები გაქვავებულნი იდგნენ.

პოლიციელებმა ოთახები გულდაგულ გაჩხრიკეს, ისევ დიდ ოთახში გამოვიდნენ. ახალგაზრდა ჟანდარმმა კვლავ ფეხი ფეხს შემოჰკრა.

— ჯერ ვერ წახვალთ, ჩემი დაბადების დღეა, უნდა მადღეგრძელოთ!

მივუახლოვდი ჟანდარმს და ჭიქა ლალისფერი ღვინით შევავსე.

დამლოცეს, სიცოცხლე და ბედნიერება მისურვეს.

ჟანდარმი ჩემს დედოფალას მოეფერა და მერე ოთხივენი კარისაკენ გაემართნენ.

მე დედას მოვეხვიე და დავამშვიდე.:

— ახლა ყველა ოჯახს ასე ჩხრეკენ, დედა!

ჩემი მეგობარი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, გაოცებული იყო ჩემი სიმშვიდით. თვალებით მჭამდა, მეკითხებოდა სად წაიღეო...

ლხინმა ელფერი დაკარგა. ჩემი სტუმრები მალე წავიდნენ.

მე დედას მივუჩოჩდი:

— დედა, შენ ყოველთვის მიკერავდი ახალ კაბას, ყოველ დაბადების დღეს მახარებდი, მაგრამ დღეს ეს კაბა... ყველაზე უფრო მომწონს, ყველა დანარჩენ კაბას სჯობს... უბრალო კი არ არის, ხავერდისაა, ისიც ხაბარდად შეკერილი. ამიტომ, ჩემო დედიკო, ტრადიცია არ უნდა დაირღვეს, სურათი უნდა გადავიღოთ....

— რა მესურათება, გოგო! ჯერ კიდევ ვერ მოსულხარ გონს!

ისევ მოვეფერე, იმდენი ვეხვეწე, დავითანხმე.

მალე მე და დედა ფოტოგრაფ „დაგორთან" შევედით.

დედას სავარძელი მიართვეს.

მე სავარცხელი მოვითხოვე და მეორე ოთახში გავედი.

— ყველაფერი რიგზეა, — ვთქვი და სავარძელთან დედას მარცხნივ დავუდექი. თან ხელით მის მხრებს დავეყრდენი.

ფოტოგრაფმა აპარატი მოიმარჯვა...

მაშინ მე ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა.

**ნესტან კვეიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში...

„იოსებ გრიშაშვილს ჩვენში ყველანი იცნობენ, როგორც პოეტს, მაგრამ როგორც საზოგადო მოღვაწეს — ნაკლებად; ეგებ შესაძლებელი იყოს მეტი პოპულარიზაცია ამ საუცხოო მუზეუმისა“.

შთაბეჭდილებების წიგნიდან



ანი ციციშვილის ჩანაწერი: „პაპაჩემს — გრიგოლ დავითის ძე მამულაშვილს თბილისის ძველ უბანში — ხარფუხში საკუთარი, ორი ოთახისაგან შემდგარი ბანიანი სახლი ჰქონდა, 200 მეტრის დაშორებით, ხუციშვილის ქუჩაზე კი — სირაჯხანა“.

დრო — ჩვენი საუკუნის ათიანი წლები. აღმართ-აღმართ მოკირწყლული ქუჩები (ქვაფენილი სიარულს გვიშლისო, ჩიოდნენ თბილისელი ლამაზმანები). კოხტა მოჩუქურთმებულაივნიანი და ბანიანი სახლების გვერდით მწირი ქოხმახები, იქეთ სიონი, აქეთ ანჩისხატი, მახლობლად სუფსარქისის ეკლესია (ახლა იქ რატომღაც საწყობია); ქუჩებში თავზე თაბახდადგმული კინტოები, დარბაისელი ყარაჩოხელები, ქარგლები, შეგირდები. ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული — რა ენა არ ისმის ამ ჭრელ უბანში; რა სანახაობას არ ნახავ: კრივი, ართურმა, ჭიდაობა, ყოჩთა შერკინება, ქუჩის წარმოდგენები.

ამ დამრეც ქუჩებს რომ ჩამოჰყვებით, და შეითან-ბაზარს ჩაუვლით, ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში მოხვდებით, სადაც თეატრის შენობაა გაგარინის მოხატული (დიუმას რომ აღტაცებით ათქმევინა მსგავსი არაფერი მინახავსო, მერე ეს თეატრი ვიღაც ვაჭრუკანამ დაწვა — ვაჭრობაში ხელს მიშლისო);

განუმეორებლად კოლორიტული გარემოა. აქ გაიზარდა სოსო გრიშაშვილი, „16 წლის სოსოს მამა გარდაეცვალა, დედა გაუთხოვდა. იგი ეპიტაფიების თხზვით ირჩენდა თავს“. ასე იწყება გზა. გაზეთის დამტარებლიდან პოეტ-აკადემიკოსობამდე...

ანის ჩანაწერი: „როცა მარტო ყოფნა ვეღარ შეძლო სოსომ, ალავერდიდან დაქვრივებული დედაჩემი ბარბარე გამოიძახა. დისშვილების აღზრდა თვითონ ითავა. სულ პატარა ვიყავი, როდესაც ვაკვირდებოდი ბიძაჩემის ყოველგვარ საქმიანობას, ძალიან ბევრს კითხულობდა, ბევრს წერდა, ფიზიკურად შრომობდა.

სახლის უკან ბაღჩა გვქონდა. მთელი დღე შეეძლო იქ მიწის ჩიჩქნა, ბარვა, ფუსფუსი, დედაჩემი უსაყვედურებდა ხოლმე: რა შენი საქმეა ამისთანა შრომაო. სოსო უპასუხებდა: გონებას ვასვენებო. უსაქმოდ არც თვითონ გაჩერდებოდა და არც ჩვენ გვაჩერებდა“.

ვიხსენებ მის ერთ სტრიქონს: „სოსო, მოუსვენრობა არის შენი ბუნება“! ასე იყო, პოეტი ფუტკარს ჰგავდა, მარტო სიტყვებს როდი კინძავდა კრიალოსნებად, აგროვებდა ეთნოგრაფიულ ნივთებს, წიგნებს, აფიშებს... აკეთებდა ჩანაწერებს, წერდა გამოკვლევებს; სოსოს წყალობაა, რომ არსებობს ძვირფასი წიგნი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (მისი თქმა: „მე თბილისის ფოლკლორის ანასხლეტი მიზრაფი“).

თუმცა სჯობს თვით მუზეუმს მოვათხრობინოთ: გაფორმება ლ. ჯავახიშვილის, ს. ბოლქვაძისა და ავთანდილ ვარაზისა (დიდი გემოვნებით);

გამოფენილია ეთნოგრაფიული ნივთები: კინტოს თაბახი, მაწვნის ქილა, ქოთანი, ლამფა, ყურთბალიში და ვერცხლის ქამრები — უცილობელი კომპონენტი ძველი თბილისისა; (გახსოვთ ტიციანის: „შენ, ჩემო ძმაო, რომ მოკვდები, არვინ დაგმარხავს, თავის სამარხი ზედ გარტყია ვერცხლის ქამარი“); კულა, შამფურები, ყასბის დანა, ადლი...

ფოტოებზე აღბეჭდილია: მეჩეთის გუმბათი (ეს მეჩეთი, სამწუხაროდ, დაანგრიეს), სირაჯხანა, მეტეხის ხიდი აბოს ნიშით, თამამშევის ქარვასლა. აქვეა სურათები: „მესუკე შაქრო თავისი დანიშნულით“, მოჭიდავეები (კულა გლდანელის ფოტო), ნამდვილი ყარაჩოხელი, „დასალოცავად გამზადებული დერციკები“, „ბოზარჯიანცის თუთუნის ფაბრიკის ძველი მუშები“... თითოეული მათგანი ახლო წარსულის, გუშინდელი თბილისის ამბავს მოგვითხრობს.

აქვეა „ყარამანიანის“, „ქალ-ვაჟიანის“, „დავრიშიანის“ სატიტულო ყდები. ჟურნალი „ნიშადური“, ჰაზირას, ბეჩარას, სკანდარნოვას კრებულები, თვითნასწავლი მხატვრის ვანო ხოჯაბეგოვის ილუსტრაციები, მიხეილ ჭიაურელის კარიკატურები. ეს იყო ის ლიტერატურული სამყარო, რომელშიც სოსო ტრიალებდა.

ცალკეა საკრავების კუთხე: თარი, დუდუკი, საზი, არღანი, დიპლიპიტო, ჭიანური (გახსოვთ მისი მშვენიერი ლექსი — „საიათნოვას ჭიანურით“)..., ამ საკრავთა ჟღერა ისმის გრიშაშვილის პოეზიაში.

გამოფენილია უნიკალური წიგნები: პუშკინისა და დერჟავინის სიცოცხლეშივე გამოსული ლექსები, ტურგენევის „მონადირის ჩანაწერები“ ავტოგრაფით, 1703 წელს გამოცემული ფიზიკა ვოლფისა (ალ. იოსელიანის ნაქონი), არაბული ყურანის მინიატურული გამოცემები. მუზეუმში არის ილიას, მაჩაბლის, აკაკის ავტოგრაფები.

„თეატრი ჩემი უნივერსიტეტი იყო“, — წერდა იოსები... და მართლაც! თეატრალური სამყარო ვრცლად არის წარმოდგენილი: აფიშები, ბილეთები! ვალ. გუნიას, კ. მარჯანიშვილისა, კ. მესხისა, ოლღა ლეჟავასი, ელისაბედ ჩერქეზიშვილის... ფოტოები, სცენები იმ სპექტაკლებისა, რომლებშიც სოსო სუფლიორობდა ან... მსახიობობდა. ვალერიან გუნია პოეტის გზისმკვლევი იყო. იგი ენდო ამ ხალას ნიჭს და ჟურნალი „ნიშადური“ ჩააბარა. გუნიამ აკაკი წერეთელს ასე წარუდგინა სოსო: „ბატონო აკაკი! ეს არის გრიშაშვილი. სულ ქალებზე წერს ლექსებს, თუმცა პირზე ჯერ რძე არ შეშრობიაო“.

... მუზეუმი გვიჩვენებს პოეტის შემოქმე-

დებით გზას პირველი კრებულის გამოცემიდან სიცოცხლის ბოლო წლებამდე.

„მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა“.

ანის ჩანაწერი: „როცა წამოვიზარდე წიგნების სიყვარული მეც გადმომცა და საგანგებოდ მასწავლა წიგნების დაკერება, აკინძვა, ახლად შეკვრა. ყოველთვის მოსწონდა ჩემი ნახელავი: ეს სიზუსტე და გულმოდგინება ჩემგან გადაგედოო. მეც ძალზე მიხაროდა მისი შექება და ხუმრობით ვეტყოდი: „რაღა ეს გადამედო შენგან, არ სჯობდა პოეტობა დამკვებებოდა მეთქი!“

ბიბლიოთეკაში **65 000** ეგზემპლარია. მართლაცდა, კულტურის იშვიათი საგანძურია. ცნობილია, გრიშაშვილის მეგობრობა ბუკინისტებთან. იგი შვილივით დაჰკანკალებდა თითოეულ წიგნს. ბიბლიოთეკის შესასვლელში ეწერა: თუ გსურს, რომ შენი მეგობარი ვიყო — წიგნი არ მთხოვო, აქ კი მობრძანდით, და რამდენიც გინდათ, იკითხეთო. ასე აგროვებდა იგი ამ საუნჯეს, რომელიც ანდერძით დაუტოვა თაობებს. ანისთან ერთად ცხრა სპეციალისტი მუშაობდა წლების განმავლობაში, რომ გაეკეთებინათ ამ ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, კლასიფიკაცია, ანოტირება, რედაქტირება, კორექტურა, ტექნიკურად დამუშავება, ანბანურად აწყობა, დანომრვა, კატალოგისთვის საძიებლების შედგენა.

ამ ბიბლიოთეკის საჟურნალო ფონდში ბევრი ერთადერთი ეგზემპლარი ინახება. იმ დღესაც გერმანელი ქართველოლოგი გიზელა დრიულა „ოქროს ვერძის“ იშვიათ ნომერს ჩაჰკირკიტებდა.

* * *

ანის ჩანაწერი: „მე ექიმად გამზარდა, სიბერეში მიშველი, მიმკურნალებო, ჩემი დისშვილი ნოდარ გრიგორაშვილი — ბიბლიოთეკარად, წიგნების კითხვა უყვარსო. თუ წიგნების დამუშავებაც ისწავლა, ჩემი სიყვარულით ყველაფერს გააკეთებსო“.

ახდა პოეტის ფიქრი: თამარ მაჭავარიანმა, თინა ნაკაშიძემ, ანიმ და ნოდარმა, ქართული კულტურის მესვეურთა შემწეობით, კარგად უპატრონეს საგანძურს.

ანი ციციშვილი რამდენიმე ნაშრომის ავტორია კურორტოლოგიის დარგში.

* * *

„მართალია გრიშაშვილის მამაპაპეულ ნაფუძვარს დღეს ახალი ორსართულიანი სახლი ამშვენებს, მაგრამ იმ ძველს მეტად თავისებური, ძველი ქართული, თბილისური, სხვა ლაზათი და შნო ჰქონდა. ქვედა სართულის გაშლილი აივნის ფილაქანს სისუფთავით ლაპლაპი გაჰქონდა და მზის ქათქათიც ემატებოდა“, — იგონებს ანა ღვინიაშვილი. ამ სტრიქონებმა ერთი მნახველის სამართლიანი შენიშვნა გამახსენა: მუზეუმის ფასადი არ ეხამება ძველი თბილისის ხასიათსო.

იქნებ ეშველოს რაიმე... მით უმეტეს, რომ არის აზრი, ეს ძველი უბანი ნაკრძალად და საკურორტო ზონად გამოიყოს.

თინა ჩხაიძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევუმსუბუქოთ ქალს ოჯახური შრომა

მძიმე ოჯახური შრომისაგან ქალთა განთავისუფლების საკითხი ყოველთვის იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...მიუხედავად ყოველგვარი განმათავისუფლებელი კანონებისა, ქალი დღესაც შინაურ მხევლად რჩება, რადგან მას მძიმედ აწვება, ახრჩობს, აჩლუნგებს, ამდაბლებს წვრილი საოჯახო მეურნეობა. ქალის ნამდვილი განთავისუფლება, ნამდვილი კომუნიზმი დაიწყება მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც დაიწყება მასობრივი ბრძოლა... ამ წვრილი საოჯახო მეურნეობის წინააღმდეგ, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი მასობრივი გადაქცევა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად“.

დადგენილია, რომ 3-4 წევრიან ოჯახის დიასახლისს ყოველდღიური საქმიანობისათვის 9-10 საათის შრომა სჭირდება. ისიც დადგენილია, რომ ყოველწლიურად კავშირის მასშტაბით, დიასახლისები ოჯახის მოვლას დაახლოებით 80 მილიარდ საათს ანდომებენ.

ამდენად, დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის მომსახურეთა ნახევარზე მეტი ქალია, მათი საოჯახო შრომიდან განთავისუფლებას ან ნაწილობრივ შემსუბუქებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ქალთა საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში ჩაბმა მეტად განხორციელდება, ეს საგრძნობლად გამოასწორებს ომის შორეულ შედეგებთან დაკავშირებულ შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირების პრობლემას. ბოლო მოეღება დიასახლისის ნერვებისამშლელ, ყოველდღიურ წვრილმან საქმიანობას, ოჯახურ კარჩაკეტილობას, გასაქანი მიეცემა მის უნარსა და ნიჭს.

პრობლემა ცნობილია! მაგრამ რა უნდა ვიღონოთ მის გადასაჭრელად? — უპირველესად მომსახურების სფეროსა და განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო მომსახურების შესაფერის დონეზე განვითარება.

რა კეთდება ამისათვის ჩვენთან? — ძალზე ბევრი რამ, მაგრამ მიღწეული საკმარისი მაინც არ არის, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ადამიანის გაზრდილ მოთხოვნებს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ქიმწმენდისა და სამრეცხაოების მომსახურება უკანასკნელ ათ წელიწადში მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა; ამ მხრივ საგრძნობლად ჩამოვრჩებით როგორც საკავშირო, ისე მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკების დონეს. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა გვაქვს რესპუბლიკის სოფლებში, ხოლო ზოგიერთ მაღალმთიან რაიონში საერთოდ არ არსებობს მომსახურების ობიექტი.

ჩვენთან სათანადო აღიარება ვერ ჰპოვა ე. წ. „თვითმომსახურებამ“. მართალია, მომსახურების ამ პროგრესული ფორმის ფართოდ დანერგვას თვით მისი მცირე ტექნიკური ბაზაც უშლის ხელს, მაგრამ რაცა გვაქვს, ისიც არ არის სრულად გამოყენებული.

ქიმწმენდისა და სამრეცხაოების საწარმოები მოსახლეობისათვის ნაკლებად მოხერხებულ ადგილებშია განლაგებული, ზოგიერთ მიკრორაიონში კი საერთოდ არ არის, ხოლო იქ, სადაც არის, დაბალია მომსახურების ხარისხი, დაკვეთის შესრულებას ძალზე დიდ დროს ანდომებენ.

თბილისის სხვადასხვა რაიონები ქიმწმენდისა და ღებვის საწარმოებით უზრუნველყოფილი არ არიან. ასე, მაგალითად, ორჯონიკიძის, ლენინისა და პირველი მაისის რაიონების მცხოვრებლებზე თითქმის ორჯერ ნაკლები ობიექტი მოდის, ვიდრე კიროვის, ოქტომბრისა და კალინინის მცხოვრებლებზე. ანალოგიური უთანაბრობაა სამრეცხაოებით უზრუნველყოფის მხრივაც.

ერთი მხრივ შესაბამის საწარმოთა არ არსებობა, ან არსებულთა მოსახლეობისათვის მოუხერხებელი განლაგება, ხოლო მეორე მხრივ მოქმედ საწარმოთა მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგია უარყოფითად მოქმედებს მომსახურების ამ მეტად პროგრესული სახეების განვითარებაზე; ჩვენი აზრით, მოსახლეობის მოთხოვნების ღრმა მეცნიერული შესწავლის საფუძველზე საჭიროა გადაისინჯოს ობიექტთა განლაგება. გარდა ამისა, ყოველ საცხოვრებელ მიკრორაიონსა და მსხვილ საწარმოებში უნდა გაიხსნას ქიმწმენდისა და რეცხვის კომპლექსური მიმღები პუნქტები, ფართოდ დაინერგოს მოძრავი მომსახურების „მიკროატელიეები“. გადახალისებას მოითხოვს მოქმედ საწარმოთა ტექნიკური ბაზაც. შესასწავლია ქიმწმენდისა და სამრეცხაოების მომსახურების ფასებიც, ვინაიდან როგორც ირკვევა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მომსახურებას სიძვირის გამო არ მიმართავს. აუცილებელია გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი ტექნოლოგიური პროფესიონალური დონის ამაღლებით.

ბუნებრივია, დღეს, როცა მთელი სიმწვავით დგას ადამიანთა უზრუნველყოფის პრობლემა, უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს მომსახურების ხსენებული პროგრესული სახეები.

**გ. ჯოლია,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.**

# „გვანცა“

„მღერიან ჩიქოვანები“... ესღა მოასწრო კონფერანსიემ. ჩაფიქრებული კი ჰქონდა ანსამბლის ე. ი. (ოჯახის) წევრთა ჩამოთვლა, რეპერტუარის გაცნობა. ფარდას განაწყენებული თვალი შეავლო, თუმცა მიხვდა, რომ ტაშის „აფეთქება“ ანსამბლის გამოჩენას მოჰყვა.

აბა, რას იფიქრებდა, თუ წარმოდგენის უმალვე მიხვდებოდა მათს ვინაობას, უცხოელებითა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრებით სავსე დარბაზი. არც მოსკოველებისაგან მოელოდა... დარბაზი სიმღერას დანატრულს ლაემსგავსა.

* * *

მაშინ 1972 წლის თებერვალი იდგა. ალბათ ამიტომ შეირჩა ის ერთადერთი სიმღერაც: „ვის უნახავს თებერვალში“...

მინელდა ჩიქოვანების მელოდია. დარბაზი ფეხზე წამოიჭრა, ტაშმა იმძლავრა. მეტი გზა არ იყო — მესვეურებმა რეჟიმი დაარღვიეს... „ციცინათელამ“ დარბაზი გაარინდა. დასასრულს მოტაშეებმა „უარესი“ გაიმეორეს. სცენაზე მორიგი ანსამბლი აიყვანეს, ოვაციების „მისამართი“ კი უცვლელი დარჩა.

* * *

აჭარული „წინამძღვრის ვარდი“, კახური „ია-და-ვარდო“, იმერული „მგზავრული“, ქართლური „რიხი“, გურული „ბალია ჩვენი ქვეყანა“, მეგრული „ართი ვარდი“, რუსული „ბაიკალზე“, უკრაინული „სუსლიკა“. აი ჩიქოვანების რეპერტუარის მცირე ნაწყვეტი. მღერიან ეროვნულ-ხალხურს, ქალაქურ-ფოლკლორს, დასავლეთ ევროპის კლასიკას...

„ესეოდენ წარმატების საიდუმლოება მათ ხაზგასმულ მუსიკალობაში უნდა ვეძიოთ“... „ანსამბლი უპირველეს ყოვლისა სანახაობაა უსაზღვრო ფანტაზიით...“, „გასაოცარი გამომგონებლობაა თითოეულის ხმაში“..., „მათ სიმღერას მუდამ ახლავს სიახლის სურნელი“..., „სარაჯიშვილის სამშობლოდან მოსულები“... ასე წერდნენ მათზე სხვადასხვა დროს დასტამბული ჟურნალ-გაზეთები — „ვეჩერნი ტბილისი“, „საბჭოთა აფხაზეთი“, „ნედელია“, „ზარია ვოსტოკა“, „სამშობლო“, „საბჭოთა ხელოვნება“, „სახალხო განათლება“...

ასევე ხიბლავს ჩიქოვანებისაგან მოსმენილი სიმღერები „ციცინათელა“, სულიკო“, „სალამური“ მაყურებელს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

ბინდი მორეოდა საღამოს. ჩიქოვანების ფანჯრიდან ნათელი იმზირებოდა. სადარბაზოს კიბემ სართულზე ამიყოლა. ახლადა მეუხერხულა მოულოდნელი სტუმრობა. ზარის ხმას ფრთხილი კაკუნი ვამჯობინე, პასუხიც შევამზადე, ვინიცობაა ეკითხათ, ვინა ხარო.

კარი გაიღო. ანსამბლის ყველაზე უმცროსი — გვანცა — გუმანით მიმიხვდა საწადელს. დედას შესძახა.

ექიმი-კარდიოლოგი — იფიგენია შარაშიძე-ჩიქოვანისა სანდომიანი ღიმილით შემიძღვა მისაღებში. გავანდე, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის ხელმძღვანელთან რომ გასაუბრება მეწადა.

* * *

ფეხზე ვიდექი, არც საწერი მომიჩხრეკია. ვიდექი და შევყურებდი სხვადასხვა ზომის ტილოებით დაფარულ ოთხივე კედელს.

ტილოები ანსამბლის წევრთა ნახელავად ჩავთვალე და გაცნობის უმალვე ვკითხე ანსამბლისა და ოჯახის უფროსს, რომელია ფუნჯის ხმარებაში ასე გაწაფული-მეთქი.

ქალაქის უფროსი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული — ზურაბ ჩიქოვანი გატაცებით მესაუბრებოდა მოლბერტების შუქ-ჩრდილთა ავტორებზე, რომლებიც თურმე ამჟამად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არიან მოთავსებული. მიამბობდა სულით დაავადებულთა სილამაზის აღქმის უნარზე, მათს სულიერ ღირებულებაზე. მან ხომ მთელი ოცი წელი სულით დაავადებულთა მხატვრული აზროვნების გამოკვლევას შეალია. ბევრ მათგანს კი მიწიერი მშვენიერების შეგრძნებაც დაუბრუნა. მისი სადისერტაციო ნაშრომიც ხომ სულით ავადმყოფთა მხატვრული შემოქმედების კლინიკური და შემეცნებითი ღირებულების საკითხებს ეხებოდა. და რა საინტერესო ნაყოფი გამოუღია ხელოვნებისა და მკურნალის წილნაყარ შრომას. სწორედ რომ საშური ხვედრია!

სახტად დავრჩი. რამდენი ტვირთი ჰქონია საზიდი ქალაქის უფროს ფსიქიატრს. სიმღერის შექმნა ისე არა მღლის, როგორც მისი სამზეოზე გამოტანაო, გამანდო ანსამბლის ხელმძღვანელმა. დავეთანხმე, რადგან ხელოვნება მუდამ ორ მხარეს — შემოქმედსა და აღიარებას გულისხმობს. შექმნა ერთია, გაუძლებს თუ არა გამოცდას — მეორე.

ამიტომ არის, ასეთი სიფრთხილით რომ ეპყრობა დიდებულ პოეტებს, რათა სიმღერის დროს ლექსის მომხიბლაობა და მისივე აზრის წვდომა ერთნაირად გამომზეურდეს.

* * *

საოჯახო ალბომი. კადრიდან კადრამდე სიმღერის თანხლებით დაზრდილი ბავშვები: გიგლა, მარიკა, ეკა, გვანცა. ერთგან გვანცა აკლიათ. ეს ფოტო 1972 წლის თებერვალშია გადაღებული. მაშინ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების XI ყრილობისადმი მიძღვნილ კონცერტზე მიიწვიეს ჩიქოვანები (კრემლის სვეტებიან დარბაზში). ქალბატონმა იფიგენიამ კვლავ გაიხსენა საღამო. გაიხსენა თუ რა შიშითა და მღელვარებით წარსდგა მაყურებლის წინაშე ფეხმძიმე ქალი. გაიხსენა საღამოდან რამდენიმე საათის შემდეგ გოგონას დაბადებით განცდილი სიხარული. იმ საღამოზე ანსამბლის თითოეული წევრი ოქროს მედლებით დაუჯილდოვებიათ; გვანცა უმედლოდ დარჩენილა; სამაგიეროდ, 1977 წელი აღმოჩენილა გვანცასთვის „ოქროს" წელი. და, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ფესტივალზე, ანსამბლის წევრებს კვლავ უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედლები რგებიათ.

* * *

ანსამბლის არქივი. სიყვითლეშეპარული და ხანაც ქათქათა წერილები, გაზეთის ამონაჭრები, მოსაწვევები, ბარათები, სიგელები, ჯილდოები.

ესტაფეტა გრძელდება მამიდან შვილებზე. გიგლა ალიკვალი მამაა. ანა კალანდაძის ლექსზე მუსიკას ვწერო, გვითხრა. გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე შექმნილი მელოდია კი იქვე გვიმღერა.

რომელი სიმღერით მიულოცავდნენ ჩვენს მკითხველებს ახალი წლის საღამოს? — ზურაბ ჩიქოვანმა გვიპასუხა — ვერ გეტყვით, რომელს ავირჩევ, რადგან ოჯახის წევრებისთვის სარეპეტიციოდ ჯერაც თავი ვერ მომიყრიაო.

არ გამკვირვებია, რადგან უამრავი დავალება აქვს გიგლას, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტში შესვლას აპირებს. სასემესტრო გამოცდაზეა მარიკა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი; ეკა და გვანცა კი კვლავ წიგნებს უკირკიტებენ. ათასი საზრუნავი აქვს ოჯახის უფროსს ზურაბ ჩიქოვანს, დიასახლისს კი საქმესა და საზრუნავს რაღა დაულევს. ალბათ ასეთ ქალსა და ასეთ ოჯახს გულისხმობდა დიდი ილია, როცა ამბობდა: „როგორიც არის ქალი, ისეთია ოჯახი და როგორიც არის ოჯახი — ისეთია ერიო".

* * *

ვბრუნდები დიდებული ოჯახიდან და დიდხანს ვფიქრობ: რატომ არა აქვს სახელი ამ მშვენიერ ანსამბლს? გვინდა ნათლიობა შევთავაზოთ და ანსამბლსაც გოგონას სახელი „გვანცა" დავარქვათ, თუკი ჩიქოვანები არ გვიწყენენ.

თინა რეხვიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემს დედიკოს ლია ერქვა...

ნამდვილი ამბავი

არის ხოლმე შემთხვევა, ჯგუფში რამდენიმე ერთი სახელის მქონე ბავშვი იყრის თავს. ასეთ დროს ბავშვები მათ ერთმანეთისაგან განასხვავებენ სიდიდით, გვარით. ასე, მაგალითად: „დიდი გია“, „პატარა გია“, „ლომსაძე“ ან „ახალი გია“. ასე დაერქვა ერთ-ერთ ბიჭუნას „ზვიადაური“.

ზვიადაური სამი წლიდან ჩვენს ჯგუფში იზრდებოდა. დინჯი, ჭკვიანი, გულჩათხრობილი ბავშვი იყო. ორშაბათ დილით, როდესაც მშობლები საბავშვო ბაღში ტოვებდნენ, იგი წყნარად ემშვიდობებოდა მათ და მტკიცედ ჰქონდა შეგნებული, რომ რამდენიმე ხნით დღედაღამ ჩვენთან დარჩებოდა. ძალიან უყვარდა ხატვა. ხატავდა მზეს, ყვავილებს, ბავშვებს, დედებს... კარგად სწავლობდა ლექსებს, მოთხრობებს, ცეკვავდა. მხოლოდ სიმღერის დროს ისმოდა მისი დაბალი ტონალობის ხმა არაბუნებრივად. ჰყავდა მამაც, დედაც, ძმებიც. როდესაც მშობლები წასაყვანად მოდიოდნენ, სიხარულს მხოლოდ თვალებით და ოდნავ შესამჩნევი ღიმილით გამოხატავდა, სასწრაფოდ მოემზადებოდა და დედას კუნტრუშით გაუძღვებოდა ჭიშკრისაკენ, სადაც მათ ტაქსით მამა ელოდებოდათ.

ასე იყო იმ დღესაც... ზვიადაურს ცოტათი ახველებდა და ჩემი ბიჭის ჯემპრი ჩავაცვი. საღამოს დედამ მოაკითხა და ბავშვის გატანება მთხოვა. უარი არ მითქვამს. ვთხოვე ჯემპრი არ გახადო მეთქი. არ დამეთანხმა, მანქანით მიმყავსო, გახადა. სახე მადლიერების ღიმილით უბრწყინავდა ქალბატონ ლიას. დედა-შვილი დამემშვიდობნენ და მამის ტაქსში ჩასხდნენ.

მეორე დილით საბავშვო ბაღის ეზოში ზვიადაურის მამას მოვკარი თვალი. გული შემეკუმშა: „ალბათ ზვიადაური ავად არის და შესატყობინებლად მოვიდა მეთქი“.

— დღეს ლიას ბავშვი ხომ არ მოუყვანია? — მკითხა მან.

— ავადმყოფ ბავშვს როგორ მოიყვანდა. ალბათ ექიმთან წავიდნენ.

— მეც ასე ვფიქრობ, — ნაძალადევი სიმშვიდით მითხრა მან და ძლივს გადადგა ნაბიჯი. სახეზე იმხელა მწუხარება აღბეჭდოდა, რომ ადვილად მივხვდი — ოჯახში ტრაგედია დატრიალებულიყო...

ზვიადაურის მამის ტაქსი ბაზრის შესასვლელთან გაჩერდა. დედა ბაზარში შევიდა. სანოვაგე იყიდა. მერე ყველანი მანქანით სახლისაკენ გაქროლდნენ. დედა-შვილი სახლთან ჩამოვიდნენ, მამამ კი ცვლაში გააგრძელა მუშაობა. როდესაც შინ დაბრუნდა, ცოლ-შვილი აღარ დახვდა.

— სად წავიდნენ ამ შუაღამისას? ბარათი შენიშნა. ლია იტყობინებოდა რომ მათ შორის ხიდი ჩატეხილიყო, სადღაც წასულიყო და ბავშვიც თან წაეყვანა...

— სად არის ზვიადაური? — ვფიქრობდი განუწყვეტლივ და ყველგან, — ტრანსპორტსა თუ ქუჩაში მის თანატოლებში თვალით ვეძებდი.

თვეხახევარს ელოდნენ ჩემი აღსაზრდელები ზვიადაურის გამოჩენას.

— ეს ზვიადაურის პირსახოცია.

— აქ ზვიადაური ზის.

— ეს ზვიადაურის კარადაა, — ამბობდნენ პატარები და ყველაფერს მას უნახავდნენ. მაგრამ არავინ იცოდა სად იმყოფებოდა ზვიადაური, კიდევ მოვიდოდა თუ არა.

სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდებოდა. ბავშვები საბავშვო ბაღთან გამოსამშვიდობებლად ემზადებოდნენ.

... — საბავშვო ბაღის ეზოში შევედი თუ არა რამდენიმე ბავშვი მოთამაშეებს გამოეყო და ჩემსკენ გამოფრინდა.

— ზვიადაური მოვიდა!

— ზვიადაური თავისმა მამამ მოიყვანა! — ერთმანეთს არ აცლიდნენ პატარები. რამდენიმე მის დასაძახებლად გაიქცა...

...ბავშვი გულში ჩავიკარი და სიხარულის ცრემლები უკან გავაბრუნე. .

ზვიადაურის მამამ გამაფრთხილა, ბავშვი, ჩემს გარდა არავის გაატანოო და წავიდა.

ზვიადაურის საწოლი ძილის დროს ცარიელი აღარ იდგა, აღარც მისი სკამი რჩებოდა კედელთან მიდგმული და პირსახოციც უქმად აღარ ეკიდა... ზვიადაური ძველ კალაპოტში ჩადგა.

სასწავლო წლის დამთავრებისას, საზეიმო კონცერტზე ისიც ცეკვავდა, მღეროდა, მხიარულობდა, საჩუქრად მიღებულ სასკოლო ჩანთას ზურგიდან აღარ იშორებდა...

ბავშვები საავარაკოდ ბორჯომის ჭეობაში გავიყვანეთ. აქ კი ფრთები შეესხათ პატარებს; ტყე, მინდორი, საუცხოო გარემო, ათასგვარი თამაშობა... მხოლოდ მშობელთა დღეს თუ მოიწყენდა რომელიმე ბავშვი, რომელსაც იმ დღეს არ მოაკითხავდნენ... ზვიადაურს მამა აკითხავდა...

ბავშვები ლექსების თქმაში ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს. ზვიადაურის ჯერიც მოვიდა. იგი დინჯად წამოდგა და ლექსი თქვა... დედაზე.

მივხვდი, დედა მონატრებოდა.

— ბავშვებო, აბა, ვის დედას რა ჰქვია?

შენს დედას რა ჰქვია, ხვიჩა? — ვკითხე პირველ სკამზე მჯდომ ბიჭუნას.

— ნათელა.

— შენს დედას? — ვეკითხებოდი ბავშვებს სათითაოდ, ამით საშუალებას ვაძლევდი ბავშვებს გაეხსენებინათ საყვარელი დედის სახე, ეფიქრათ მასზე, გული გახალისებოდათ დედის მოსვლის იმედით. — მშობლები ორი დღის შემდეგ უნდა მოსულიყვნენ.

ჯერი ზვიადაურზე მიდგა.

— ჩემს დედიკოს ლია ერქვა! — ნაღვლიანი თვალებით ჩააჩერდა იგი იატაკს.

**ზ. მდინარაძე,**

**თბილისის № 1 სანატორიული ბაგა-ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი.**

# გოსწნეულის ყადრი

## „სასწაულმოქმედი ხახვი“

შუა საუკუნეებში ხახვის ბოლქვს სასწაულებრივ თვისებებს აწერდნენ. მიაჩნდათ, რომ თუ მეომარს თან ხახვი ექნებოდა, მას ტყვია და სხვა რამ იარაღი ვერაფერს ავნებდა. ამიტომ ფოლადის ჯავშანში ჩამჯდარ რაინდებს გულზე ჩვეულებრივი ხახვი ეკიდათ გამარჯვებისა და ძლიერების სიმბოლოდ.

ძველ საბერძნეთსა და რომში მეომრების ულუფაში ხახვი დიდი რაოდენობით იყო, რადგან სწამდათ, რომ ის ადამიანს აღაგზნებდა, ძალასა და მამაცობას მატებდა.

ხახვი მართლაც რომ ძვირფასი და მეტად სასარგებლო ბოსტნეულია, ხახვს მიირთმევენ მწვანე ფოჩის და ბოლქვის სახით. ხახვით შეკმაზული საჭმელი გემრიელია. ხელს უწყობს კუჭნაწლავის ტრაქტის ნორმალურ მუშაობას.

მწვანე ხახვი შეიცავს 92,5 პროცენტამდე წყალს, 1,3 პროცენტ აზოტოვან ნივთიერებებს, 1,3 პროცენტ შაქარს, 0,9 პროცენტ უჯრედისს, 1 — პროცენტამდე ნაცარს და სხვა, ბოლქვი კი შესაბამისად 86, 05, 3, 1-10 0-0, 0,7-7 პროცენტს.

ხახვი (განსაკუთრებით მწვანე ხახვი) მდიდარია ვიტამინებით: 100 გრამ მწვანე ხახვში 30-60 მგ ვიტამინი „C“ გვხვდება, კაროტინი („A“ პროვიტამინი) 4-6 მგ. ხახვის ბოლქვში კი 2-10 მგ. ვიტამინი „C“ და 0,08-09 მგ „B“ ვიტამინი.

ხახვი უხვად შეიცავს აზოტოვან ნივთიერებებს, შაქრებს, მინერალურ მარილებსა და ვიტამინებს.

სახელოვანი მეცნიერი იბნ სინა ჯერ კიდევ 1000 წლის წინ აღნიშნავდა ხახვის მრავალ დადებით თვისებას. იბნ სინას მრავალი გამონათქვამი მთლიანად დაადასტურა თანამედროვე მეცნიერებამ. ა. ნიკოლაევის განმარტებით სახალხო მედიცინა შემწვარი ხახვით მკურნალობს: ანთებით სიმსივნეებს, ძირმაგარასა და სხვა გამონაყარს. მისივე გადმოცემით ჭრილობა მალე ხორცდება თუ ხახვის წვენს წავუსვამთ.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მედიცინა ხახვს ხმარობს, როგორც სტიმულის მომცემ საშუალებას. ვარაუდობენ, რომ ხახვი აუმჯობესებს სმენასა და მხედველობას.

თაფლთან ერთად ხახვს იყენებენ ხველისა და მსუბუქი ბრონქიტების დროს.

ხალხური კოსმეტიკა ხახვის წვენს ოდითგანვე იყენებდა, როგორც თმის ზრდის ეფექტურ საშუალებას. თუ ხახვთან ერთად კარტოფილსა და ხილს შევინახავთ, ეს პროდუქტები დიდხანს არ გაფუჭდება.

რით უნდა აიხსნას ეს თვისებები? საბჭოთა მეცნიერებმა მ. პ. ტოკინმა და მისმა მოწაფეებმა დაამტკიცეს, რომ ხახვისაგან გამოყოფილი აქროლადი ნივთიერებები ანადგურებს ლპობადი ავადმყოფობის გამომწვევ მრავალ ბაქტერიას.

## ნიორი — მკურნალი

ნიორი ერთერთი უძველესი კულტურაა, რომელიც ხალხში ოდითგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ქიმიური შემადგენლობით ნიორი ხახვს უახლოვდება, მხოლოდ ხახვისაგან განსხვავებით, ღარიბია ვიტამინებით. ნიორი შეიცავს 65 პროცენტ წყალს, 6,8 პროცენტ აზოტოვან ნივთიერებას, 10 პროცენტამდე შაქრებს, 0,5 პროცენტამდე მინერალურ ნივთიერებებს, 0,8 პროცენტამდე უჯრედისს, 1,7 პროცენტამდე ნაცარს.

ნიორი მარტო გემრიელი და მადის მომგვრელი სანელებელი როდია, იგი ეფექტური სამკურნალო საშუალებაც ყოფილა. წინათ ადამიანები მას იღებდნენ დაღლილობის დროს და დაღლილობა უქრებოდათ. ჩაიდებდნენ მტკივან კბილში და მწვავე ტკივილი უყუჩდებოდათ, უმსუბუქდებოდათ. ნიორს იყენებდნენ აგრეთვე შავი ჭირის, ტუბერკულოზის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების სამკურნალოდ. ორგანიზმიდან ჭიების გამოსადევნად, ქვების წარმოშობის ასაცილებლად, მრავალი დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ საშუალებად და ა. შ.

ნივრის მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენება დაიწყო მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ის შეიცავს მიკრობებს ფიტონცინდებს — ნივთიერებას, რომელიც მიკრობებს სპობს.

პროფესორი ბ. პ. ტოკინი აღნიშნავს, რომ მცირეოდენი ნივრის დაღეჭვა ნიშნავს პირის ღრუს სტერილიზაციას. დადგენილია, რომ დანაყილ ნიორს შეუძლია 250-300 საათის განმავლობაში ხოცოს მიკრობები.

ჩინელი მეცნიერების გამოკვლევებით, ნივრის ხსნარი დიზენტერიის დროს სწრაფ ეფექტს იძლევა. კანის დაავადებისას ნიორი აჩერებს ანთებით პროცესს, ამცირებს სიმსივნეს, ხელს უწყობს ქსოვილების ზრდას და სხვა.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი აკადემიკოსი ზელენსკი აღნიშნავს: „რა არის ორგანიზმისათვის სასარგებლო? უპირველეს ყოვლისა, ნიორი და ხახვი. ესენია ყველაზე მძლავრი ანტისეპტიკური საშუალებები იმ წამლის მაგიერ, რომელიც არჩენს, მაგრამ ამავე დროს ანადგურებს კიდეც ორგანიზმს, მიიღეთ დღეში 5-6 გრამი ნიორი. ის დაიცავს ორგანიზმს ნაადრევი მოხუცებულობისაგან. ნიორი სპობს ადამიანის ორგანიზმში ბაქტერიებს, კურნავს ანგინას, უხდება პელაგრას, რევმატიზმს, ნიორი იცავს ორგანიზმს ათეროსკლეროზისა და ტვინის სნეულებისაგან“.

თანამედროვე მედიცინაში იყენებენ ნივრისაგან დამზადებულ მრავალ ანტისეპტიკურ პრეპარატს.

ნივრის ღირსება მარტო ამით როდი ამოიწურება: თუ ნივრის დარჩეულ კბილებს ხორბალით, სიმინდით ან ბურღულით სავსე ჭურჭელში მოვათავსებთ, იგი მათ დაიცავს ხოჭოებისაგან.

## კიტრი — სუფრის მშვენება

კიტრი ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, რომელიც მოიხმარება დაუმწიფებელი ნაყოფის ან დამჟავებული სახით, საკვები ნივთიერებანი მასში ცოტაა, იგი 95-96 პროცენტ წყალს, 2 პროცენტ შაქარს, ერთ პროცენტ ცილას შეიცავს. მასში საკმაო რაოდენობით არის მინერალური მარილები. ყველაზე მეტია კალიუმი (100-200 მილიგრამი 100 გრამ პროდუქტში). კიტრში გვხვდება აგრეთვე ვიტამინი C, მაგრამ მცირე ოდენობით — 5-10 მილიგრამი 100 გრამ ნაყოფში.

კიტრის ხარისხი განისაზღვრება გემოთი. ქორფა, სასიამოვნო არომატი ხელს უწყობს მადის აღძვრას და საჭმლის კარგ მონელებას. კიტრის ნაყოფში დიდი რაოდენობით არის უჯრედისი, მკვლევართა განმარტებით ორგანიზმი მას თითქმის არ ითვისებს, მაგრამ კარგად არეგულირებს კუჭ-ნაწლავს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრონიკული დაავადების დროს. უჯრედისი ნაწილობრივ ეხმარება ქოლესტერინის გამოდევნას, რითაც ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას.

კიტრში აღმოაჩინეს მეტად მნიშვნელოვანი ქიმიური ნივთიერებანი. კიტრში გვხვდება ვიტამინი $B_1$, ვიტამინი $B_2$ მეტია, ვიდრე ხახვში, კიტრი შეიცავს აგრეთვე ვიტამინ C-ს.

შ. ოგბოლაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ამოჭერი და შეინახე

# ღვეზელი

დიასახლისების მარადიული თავსატეხია რა მოამზადონ სადღესასწაულოდ ისეთი, რომ ყველას მოეწონოს, იაფი დაჯდეს, გემრიელი იყოს და გამოიჩინებოდეს კიდეც, და რაც მთავარია, არც ჩვენ დაგვეხარჯოს დიდი დრო და ძალ-ღონე; დიასახლისსაც ხომ უნდა სხვასთან ერთად მოილხინოს. ყველაფერ ამას ისიც ერთვის, რომ ჩვენი ნახელავი სადღესასწაულო უნდა იყოს, არ უნდა გავდეს ყოველდღიურს.

ჰო, მაგრამ, რა ვუყოთ იმ ათასობით ქალს, რომელნიც ბუნებამ არ დააჯილდოვა კულინარიის ნიჭითა და უნარით? რჩება ერთი გზა — ისეთი გადაწყვეტა ვუკარნახოთ, რომელიც ყველა დიასახლისს შეაძლებინებს პრაქტიკულად განახორციელოს ეს საქმე.

ამრიგად, სადღესასწაულო საჭმელი უნდა უპასუხებდეს ხუთ მოთხოვნას.

1 იყოს განსხვავებული — არ გავდეს იმ კერძებს, რომელთაც ყოველდღე ვამზადებთ.

2. მზადდებოდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი პროდუქტებისაგან.

3. იოლი გასაკეთებელი იყოს.

4. ვარგოდეს ძირითად კერძადაც და დესერტადაც.

5. ხაზი გაუსვას მაგიდის საზეიმო იერს. — ასეთი რამ კი უპირველეს ყოვლისა, ღვეზელია.

ყველა დაგვეთანხმება. პირველ პირობას იგი პასუხობს, მეორეს — მითუმეტეს პასუხობს, რადგან აქ სხვადასხვა ვარიაციები შეიძლება მოვიფიქროთ. ამისათვის საკმარისია გვქონდეს ფქვილი, საფუარი, კარაქი (ან სხვა რამ ცხიმი), რძე, არაჟანი, კვერცხი. საფუარი შეიძლება შევცვალოთ ლუდით. არაჟნით, მაწონით ან კეფირით, ტკბილი ღვეზელისათვის კი ერთი კოვზი მშრალი ღვინით, ლიმონის წვენით, ძმრით, სოდით.

მოკლედ, ცომის მოზელა პრობლემა სულაც არ არის. ღვეზელისათვის მთავარია გულში ჩასართველი სატენი. ჩასართველად კი ყველაფერი გამოდგება: კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ბოლოკი, თალგამი, ხახვი, სოკო, კვერცხი, თევზი, ხორცი, ხილი, ჩირი, მურაბა, ხაჭო. მთავარია სართავი გემრიელი გამოვიდეს.

როგორ დავამზადოთ გემრიელი სართავი? — როცა ამა თუ იმ პროდუქტს შევწვავთ ან მოვხარშავთ მაგალითად — კარტოფილს, კომბოსტოს, თევზს, უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა დავაქუცმაცოთ, შევურიოთ ცხიმს, კვერცხს. სართავი ჩვეულებრივზე უფრო მლაშე და პილპილიანი უნდა იყოს, რომ გამოცხობის მერე არ გაგალდეს, რა თქმა უნდა საჭიროა სანელებლებიც, მაშინ ღვეზელი სურნელოვანი გამოვა. სართავი ცომში არავითარ შემთხვევაში თბილი ან ცხელი არ ჩადოთ.

პასუხობს თუ არა ღვეზელი მესამე მოთხოვნას?

— რა თქმა უნდა! ნუ ჩაუნერგავთ თავს, რომ მისი გაკეთება ძნელია. აიღეთ ერთი ფინჯანი წყალი ან რძე, ჩადეთ შიგ ერთი ან ორი კოვზი კარაქი ან ზეთი. მეორე ფინჯანში გახსენით საფუარი და ერთი კვნიტი შაქარი. დადგით 15 წუთი. მერე ორივე სითხე შეაერთეთ და შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მაგარი ცომი არ გამოვიდეს, მაგრამ კოვზზე და ხელში კი უნდა მაგრდებოდეს. შემდეგ ეს ცომი თბილ ოთახში დადგით, ზედ ტილო დააფარეთ და ერთი-ორი საათი გააჩერეთ, ვიდრე არ აფუვდება. ამასობაში თავისუფლად მოასწრებთ სართავის გულდინჯად მომზადებას. როცა ცომი ამოვა, დააკვირდით, ძალიან თხელი ხომ არ არის, თუ ასეა, დაუმატეთ ცოტა ფქვილი, ამ დროს, თუ გინდათ რომ ფენოვანი ცომი გამოვიდეს, შეგიძლიათ შეაზილოთ კარაქი 50, 100 და 200 გრამიც კი, შეგიძლიათ ასევე მიუმატოთ ნაღები, არაჟანი, კვერცხი (თუ აქამდე არ ჩაგიდიათ და თუ გიყვართ ასეთი ცომი); ისე დამატება აუცილებელი სულაც არ არის. აი საფუარს კი ნუ დაინანებთ (30-დან 50 გრამამდე 1 კგ. ფქვილზე) საფუარის ნაკლს ვერაფრით ვერ გაასწორებთ, ცომი დიდ ხანს არ ამოვა, ან უგემური იქნება.

ცომი და სართავი მზად არის. უმჯობესია, თუ რამდენიმენაირ სართავს დაამზადებთ. მაშინ ერთი ცომიდან რამდენიმე სხვადასხვა ღვეზელი გამოვა. აი, აქ მიხვდებით, როგორ პასუხობს ღვეზელი მეოთხე მოთხოვნას. საკმარისია სართავად თევზი ან ბრინჯიანი კომბოსტო და კვერცხი გამოვიყენოთ, რომ მზად გექნებათ წვნიანთან მისატანებელი ან სულაც მეორე თავად გამოსაყენებელი ღვეზელი. თუ ცომში მურაბას ან ხილს ჩადებთ, ჩაიზე მისატანებელი ტკბილი ღვეზელი გამოგივათ. ოღონდ თავიდანვე ცომი ორ ნაწილად უნდა გაყოთ, მომზადების ბოლო სტადიაში ერთ ნაწილს მარილი დავუმატოთ, მეორეს კი — ცოტაოდენი შაქარი. ნუ დაივიწყებთ, ცომი თხლად უნდა გააბრტყელოთ, ოღონდ არ გაგეხეთ, სართავი უკვე ტაფაზე დადებულ ცომში ჩადეთ. ქვედა ფენა ზევითაზე ცოტა სქელი და განიერი უნდა იყოს, რადგან მისგან ღვეზელის ნაწიბურებიც უნდა გაკეთდეს. ზედა ნაწილი ძალიან თხელი უნდა იყოს. ტკბილ ღვეზელს კი ზოგჯერ ზედა ფენას სულაც არ უკეთებენ ან ცომის დაჭრილ ზოლებს გადაადებენ ხოლმე ზედ ბადისებურად. ღვეზელი ჯობია წიგნის ფურცლის ოდენა გააკეთოთ. ტკბილი ღვეზელი კი მრგვალი ფორმისა აჯობებს. ამიტომ ტკბილ ღვეზელს მრგვალ ტაფაზე აცხობენ.

გვრჩება მეხუთე პირობა. ღვეზელს აქაც არა ჰყავს ტოლი, თუ არ ჩავთვლით ტორტს. ვინ გიშლით ცომისაგან გააკეთოთ ყოველნაირი მოსაკაზმი — ყვავილები, ვარსკვლავები?.. ღვეზელი რომ ლამაზი იყოს და პრიალებდეს არ დაგავიწყდეთ, ღუმელში შედგმის წინ გადაუსვათ ერთად ათქვეფილი კვერცხი და ერთი კოვზი კარაქი.

აბა, საქმეს ეწიეთ! თავს ნუ იმტვრევთ გრამებზე და პროპორციებზე. ღვეზელი ამ შემთხვევაში უპრეტენზიოა, ნებას იძლევა, როგორც გნებავთ ისე მოეპყრათ, საჭირო არ არის ზედმეტი ცერემონია. ოღონდ ეს კია, აუცილებელია ყურადღებიანი და ფაქიზი დამოკიდებულება.

გარეკანის პირველ გვერდზე — ნანა ალექსანდრია, მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი; მეოთხე გვერდზე — „საშაქარლამოში“. დ. იაკობაშვილის და ნ. ანთაძის ფერადი სლაიდები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 11/XII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/I-78 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 126 720; შეკვ. 3617 უე 00620 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუმორი

# როგორ შევინარჩუნოთ ცოლი

ერთმა კაცმა მთხოვა, ჩემს ნაცოლარზე ფელეტონი დაწერეო.

— გარწმუნებთ, საშინელი ქალია, — თქვა გულმოსულმა და ტყავის საქაღალდის გახსნა დაიწყო.

— რა საჭიროა...— ვუთხარი მე. — დოკუმენტები მერე იყოს. ჯერ ცოტა წავისაუბროთ. დიდიხანია ცოლ-ქმარი ხართ?

— ცოლ-ქმარი ვიყავით. ვიყავით! — შეუვალი ხმით შემისწორა მან. — თორმეტი წელი...

— ანგარებით შეირთეთ? — ვკითხე მე.— ფულს დახარბდით თუ ბინას?

— რას ამბობთ?! — აღშფოთდა ის. — ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა.

— არა, ალბათ, იმას უყვარდით, — ვუთხარი მე. — თქვენ კი მის დაჟინებულ ვედრებას დანებდით.

— რატომ? — მითხრა მან. — ასე რატომ ფიქრობთ? და, საერთოდ, გატყობთ, რაღაც ირონიულად მელაპარაკებით.

— რას ბრძანებთ! — მივუგე მე. — ეგ აზრი გულში როგორ გაივლეთ?

— რაღაც უცნაურად კი ლაპარაკობთ და... — გაიფხორა ის.

— ჰოდა, მაინც, თუ ინებებთ, განვაგრძოთ საუბარი. მაშ თქვენ ამბობთ, გულში სიყვარული გიღვივით, არა? ორმხრივი სიყვარული, წარმტაცი და მშვენიერი... გქონდათ, ალბათ, ეჭვებიც იმედებიც...

— ეგეც იყო! — თქვა მან,

— პირადად თქვენ რა გაეჭვებდათ?

— რა და, ყველაფერი! ძირითადად გრძნობები.

— საკუთარი გრძნობები?

— საკუთარი რადა? ჩემი გრძნობები ჩემთვის ნათელი იყო. მისი...

— იმას კი არ ეპარებოდა ეჭვი?

— რა ვიცი. მე მისთვის არ მიკითხავს.

— ყვავილებს თუ მიართმევდით ხოლმე?

— მივართმევდი.

— თეატრში ეპატიჟებოდით?

— რა თქმა უნდა!

— და, ალბათ, გვერდით რომ მიჰყვებოდით, ისე ვაჟკაცურად გეჭირათ თავი, რომ თქვენს სატრფოს ბნელი ქუჩისა კი არა, ხულიგნებისაც აღარ ეშინოდა, არა?

— ჰო... ხანდახან ცოტა შემშინებია კიდეც, მაგრამ ჩემი თავისთვის შემომიძახნია და...

— მერე?

— რა მერე?

— მერე მეთქი? გეკითხებით, ქორწინების შემდეგაც თუ შემოგიძახნიათ თავისათვის? ცოლი თეატრში თუ მიგიწვევიათ...

— აჰ, არა, თეატრის საქმე თვითონ ცოლს ებარა. ის გადაწყვეტდა, რომელი სპექტაკლი გვენახა, ბილეთებსაც ის შოულობდა, მერე სამსახურში, თანამშრომლებთან მსახიობების თამაშს არჩევდა. მე მას ხუმრობით კულტორგს ვეძახდი.

— მერე იმ თქვენს კულტორგს ყვავილებს თუ მიართმევდით ხოლმე?

— აჰ, არა, ყვავილებიც იმას გადავაბარე. შინ რომ რაიმე დღესასწაული გვქონდა — მისი ან ჩემი დაბადების დღე, ბაზრიდან უთენია ყვავილებს მოიტანდა ხოლმე და, სადაც საჭირო იყო, იქ დადგამდა. მე ხუმრობით „მეყვავილე ანიუტაც“ შევარქვი.

— ეგ კარგი რამ მოგიფიქრებიათ, ძალიან რომანტიკული სახელია. ასეთი ანიუტასთვის, ვინ იცის, ხულიგნებს შიშის ზარსა სცემდით!

— აჰ, არა, მაგ საქმეში თვითონ იყო ყოჩაღი. ვინმეს რომ რამე გაებედა, ისეთ დღეს დააყრიდა, რომ დაარეტიანებდა. ერთხელ, მახსოვს, პარკში ვიყავით და იქ ერთმა ტიპმა ლამის შეურაცხყოფა მომაყენა. ჰოდა, ჩემი ცოლი რომ მიდგა, ისეთი რამეები უთხრა — ეგ ისეთი სუსტიაო, არც რაიმე განსაკუთრებული ნიჭი გააჩნია, თან კიდევ ბავშვები ჰყავსო, — რომ ის კაცი უმალ ჩამომეცალა. მე ჩემს ცოლს ხუმრობით მფარველ ანგელოზს ვეძახდი.

— ოჰ, აქ კი, თქვენ, თქვენი გალანტურობით, მსოფლიოს საუკეთესო ვაჟკაცები დაჩრდილეთ. წარმოგიდგენიათ? — რა უბრალოდ და ადვილად დაუთმეთ ქალს თქვენი ადგილი ცხოვრებაში.

— ჰო, — თავმდაბლად თქვა მან, — მე ტრამვაიშიც მუდამ ვუთმობ ადგილს.

— მითხარით, სკოლაში კრებებზე ვინ ლადიოდა, მასწავლებლების წინაშე შვილის გამო ვინ წითლდებოდა?

— ვინა და — ცოლი. მე მას ხუმრობით დიდი პედაგოგი შევარქვი. აბა, მაშ ეგ კაცის საქმეა? ხომ ხედავთ, სკოლებში მასწავლებლები სულ ქალები არიან.

— რატომ, — მივუგე მე. — მამაკაცებიც გვხვდებიან...

— გვხვდებიან, მაგრამ იშვიათად. ჭკვიანი კაცი მაგ დღეში თავს არ ჩაიგდებს!

— ეგ კარგად შეგინიშნავთ, — ვუთხარი მე. — ეს კი იმას მოწმობს, რომ დიდი მოაზროვნე ბრძანდებით. წარმომიდგენია, როგორ გაფასებთ ცოლი მაგ თქვენი გამჭრიახობისათვის. ალბათ, სამსახურიდან რომ მოხვიდოდით, ან სეირნობის დროს, სხვადასხვა საკითხზე გქონდათ სჯა-ბაასი. თქვენ, ალბათ, სამსახურის უსიამოვნებებზე ესაუბრებოდით. ხომ გქონიათ სამსახურში უსიამოვნება? ან ვის არ ჰქონია. ის კიდევ თანაგიგრძნობდათ, გეთანხმებოდათ, თავზე ხელს გისვამდათ...

— მართალი ბრძანდებით, — ამოიოხრა მან. — სწორედ ეგრე იყო. ერთი სიტყვით, ისე ვიყავი, რომ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. რომ იტყვიან, ღვთის უბეშიო, სწორედ ისე ვიყავი. ზოგიერთ მამაკაცს — აი, იმათ, წინდებს რომ თვითონ ირეცხავენ და პერანგებიც სამრეცხაოში თვითონ მიაქვთ, — შურდათ კიდეც ჩემი. ძაღლის ბედი გქონია, საშაო, — მეუბნებოდნენ. ასე ყოველმხრივ შემკული ქალი ჩვეულებრივი ქორწინების სასახლის მეშვეობით როგორ იშოვეო, შენ, იქ, ალბათ, ვიღაც გყავსო. მე კი ვუპასუხებდი: რას მიჰქარავთ, ვინ უნდა მყავდეს, მთავარი ის არის, რომ ქორწინების მერე ოჯახში სწორი ხაზი გაატარო მეთქი. ეჰ, რაღა ბევრი გავაგრძელო და, ძვირფასი ცხოვრება მქონდა, ვიდრე იმან ამორალური საქციელი არ ჩაიდინა: სხვა შეიყვარა.

— აჰ, ეგ წარმოუდგენელია! — წამოვიძახე მე. — შეუძლებელია, ცოლმა ასეთი ქმარი მიატოვოს. აბა როგორ უნდა დათმოს თქვენი ესოდენი ძვირფასი შეხედულებები ოჯახურ ცხოვრებაზე, თქვენი ვაჟკაცობა, დამოუკიდებლობა, ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა...

— აი, თქვენ ახლაც ირონიით მელაპარაკებით, — იწყინა მან, — მე კი დახმარებისთვის მოგმართეთ. მე მინდა, თქვენ აღწეროთ ჩემი მეუღლის საშინელი საქციელი, დაანამუსოთ და ოჯახს დაუბრუნოთ. აი, მესამე დღეა, სახლიდან წავიდა და, ასე მითხრა აღარასოდეს დავბრუნდებიო...

— რა სამწუხაროა,—ვთქვი მე—რა უსამართლობაა! თავზე ხელს არავინ გისვამთ, თეატრში აღარავის დაჰყავხართ, ყვავილებს არავინ მოგართმევთ. არავინ ისმენს თქვენს წუწუნს უგულო და ბრიყვ თანამშრომლებზე; არც თბილ რძეს გასმევენ, არც მდოგვის საფენებს გაკრავენ ბანჯგვლიან მკერდზე, სკოლაშიც აღარავინ წავა თქვენს ნაცვლად... წარმოგიდგენიათ?—თქვენ უეცრად მოგთხოვეს, რომ მამაკაცი იყოთ! თქვენ კი, რა ხანია, დაგავიწყდათ, რომ მამაკაცების აბანოში კოლექტიური მსვლელობისა და ლოყებზე ამოსული ჯაგრის ყოველდღიური პარსვის გარდა, სხვა რამეც მოგეთხოვება, ის, რითაც უნდა გაამართლოთ შარვლის ჩაცმა. იმ მეორემ კი, — განვაგრძობდი, ყოველ შემთხვევაში, ახლა, პირველ ხანებში, თქვენს ცოლს გაახსენა, რომ ქალია; რომ ქვეყნად არსებობენ თავაზიანი კავალრები, თავდადებული რაინდები, ყურადღებიანი, მზრუნველი მიჯნურები. ჰოდა, თუ გსურთ ბოლოს და ბოლოს, ამაზე შემიძლია ფელეტონის დაწერა... იქნებ იმ ფელეტონმა ვინმეს თვალი აუხილოს და, იმის მაგივრად, რომ იძახოს — „დაიჭით, ქურდიაო!“ — თავის თავს ჩაუკვირდეს, დაფიქრდეს, პირველ ყოვლისა, თვითონ ხომ არ გაიძარცვა საკუთარი თავი?

ამ სიტყვებზე ის ადგა და ოთახიდან გავიდა. წასვლის წინ კი სულითა და გულით დამპირდა, სადაც საჭიროა, იქ გიჩივლებო.

ე. პარხომოვსკი



ИНДЕКС 76178